www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 2 სექტემბერი, 2003 წელი. №235 (447) | ფასი 30 თეთრი

## საბოტაჟი თბილსრესში

### მე-9 ენერგობლოკი კვლავ მწყობრიდან გამოიყვანეს

მაია ურუშაძე

"რაო ეეს როსსიის" "თელასში" შემოსვლას სრული წყვდიადი მოჰყვა. ავარიულად გამოირთო რუსეთთან მაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზები "კავკასიონი" და "სალხინო", ხოლო უკვე ლეგენდად ქცეული, მრავალ პატრონგამოვლილი მეცხრე ბლოკი ბოროტმოქმედებმა დააზიანეს. **"უცნობმა ბოროტმოქმედებმა მოიპარეს ლიანდაგები და მილები, რომლებიც მაზუთის რეზერვუარს უერთდება. შედეგად მე-9 ბლოკზე მაზუთის შეტანა შეუძლებელია. ეს საბოტაჟის ტოლფასია,"** – განაცხადა გუშინ "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მენეჯერმა ვალერი ფანცულაიამ. მისი თქმით, მდგომარეობის შესწავლის მიზნით, დღეს გარდაბანში სამუშაო ჯგუფი გაემგზავრება და ზარალის ოდენობას დაადგენს. გაირკვევა ისიც, თუ რა დროში გახდება შესაძლებელი ბლოკის აღდგენა.

ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისის გამო ამჟამად ელექტროენერგია მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს მიეწოდება. ამ კრიზისის მიზეზი შაბათს ენგურჰესზე მომხდარი ავარიებია, რომელთა შედეგადაც სადგურის აგრეგატები მწყობრიდან არის გამოსული.

რაც შეეხება "თელასის" მიმდინარე ფინანსურ პრობლემებს, მათ მოსაგვარებლად "თელასის" ახალი მენეჯერები საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობას შეხვდნენ. "თელასს" საბითუმო ბაზრის მიმართ 46 მილიონი ლარი მართებს. სავარაუდოდ, საბითუმო ბაზართან "თელასი" ამ თანხას ბიუჯეტთან ჩათვლების მექანიზმით გაასწორებს, ხოლო დავალიანების მიზეზით ბაზრის მხრიდან "თელასის" შეზღუდვებს ადგილი აღარ ექნება. გარდა ამისა, თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგების მიზნით, "რაო ეეს როსსიის" რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი აქვს დაგეგმილი.

## ჩეჩნებს სამშობლოში ეპატიჟებიან

რუსეთიდან საქართველოში სამთავრობო დელეგაცია ჩამოვიდა, რომლის მიზანიც ჩეჩნების საკითხზე საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვაა; ამას გარდა - თავად ჩეჩენ დევნილებთან სამშობლოში დაბრუნებისათვის ნიადაგის შემზადებასაც შეეცდებიან.

A3

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | ☼ |
| ქუთაისი | 39 | ☁☼ |
| ბათუმი | 38 | ☁☼ |
| სოხუმი | 36 | ☁☼ |
| ფოთი | 38 | ☁☼ |
| თელავი | 33 | ☼ |
| ზუგდიდი | 39 | ☁☼ |
| გორი | 32 | ☼ |
| ახმეტა | 33 | ☼ |
| ჭიათურა | 36 | ☁☼ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1375 |
| ევრო | 2.3951 |
| გირვანქა სტერლ | 3.4322 |
| რუბლი | 0.0705 |

# პოლიტიკური, მაგრამ მაინც პირველი სექტემბერი

დალი კუპრავა

*2014 წლის მაისში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები გაიხსენებენ, რომ მათი პირველი პირველი სექტემბერი საქართველოში ყველასთვის დასამახსოვრებელი იყო. "პოლიტიკური მოტივით მოსწავლეებისთვის საჩუქარზე უარს არ ვიტყვით," - აცხადებდნენ გუშინ სკოლის დირექტორები და ნაციონალური მოძრაობის მიერ ნაჩუქარ რვეულებს იტოვებდნენ. თუმცა, რამდენიმე სკოლის დირექტორმა რვეულები, ყდაზე ხუთჯვრიანი დროშის გამოსახულებით, სკოლაში არ "შეუშვა".*

გუშინ არც სკოლების და არც ხელისუფლების წარმომადგენლებს აღარ ახსოვდათ, რომ დანარჩენი ათი კლასიც არსებობს: დიდ-პატარა პირველკლასელთა დასაჩუქრებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა. ხელისუფლებას კი, უნდოდა თუ არა, წლევანდელი პირველი სექტემბერი პოლიტიკურად მაინც ანგაჟირებული აღმოჩნდა.

ქადილის შესრულება "ნაციონალებს" არ დასჭირდებათ, რადგან მთავრობამ სიტყვა შეასრულა და თბილისის ყველა სკოლაში პირველკლასელებს ფერად ჩანთებში ჩალაგებული სახელმძღვანელოები და რვეულები მერხებზე დახვდათ.

პრეზიდენტი, ქალაქის მერი, რაიონების განათლების განყოფილების წარმომადგენლები და დეპუტატები სხვადასხვა სკოლას ესტუმრნენ. გუშინვე, დეპუტატ

გაგრძელება A4 გვერდზე



ზაალ გოლაშვილის ფოტო

*პირველი ნაბიჯი დიდობისკენ.*

# ცესკო-ს თავმჯდომარე - ყოფილი სოციალისტი, მაგრამ ომბუდსმენი

*ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. ეუთო-ს სპეციალური კომისიის მიერ შერჩეული სამი კანდიდატიდან პრეზიდენტმა უპირატესობა სახალხო დამცველს ნანა დევდარიანს მიანიჭა. "ჩემი ღრმა რწმენით, ქალბატონი ნანა თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით, განათლებით და ომბუდსმენის პოსტზე მიღებული უდიდესი გამოცდილებით, წარმატებით გაართმევს თავს ცესკო-ს თავმჯდომარეობას. ყველა ის ღირსება, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ესაჭიროება - უდიდესი პასუხისმგებლობა, დიდი გამოცდილება - ყველაზე მეტად ნანა დევდარიანს აქვს. მისი წარსული მოღვაწეობით, საზოგადოებრივი ცენზით და ავტორიტეტით, პიროვნული თვისებებით იგი ყველაზე მეტად შეესაბამება ცესკო-ს თავმჯდომარისათვის აუცილებელ მოთხოვნებს," – ასე დაახასიათა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარე.*

თამარ მჭედლიშვილი

ნანა დევდარიანი საკუთარი მოვალეობის შესრულებას, სავარაუდოდ, დღეს შეუდგება. ყოველ შემხთვევაში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მას სწორედ დღეს ელოდებიან. რაც შეეხება კომისიის ახალი შემადგენლობის პირველ სხდომას, როგორც ცესკო-ს აწ უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ გია ზესაშვილმა "24 საათს" განუცხადა, მისი გამართვის თარიღს პრეზიდენტი დაასახელებს.

თავად გია ზესაშვილი მიესალმება ამ პოსტზე ნანა დევდარიანის დანიშვნას. მისივე თქმით, დევდარიანს საკმაოდ რთული საქმის გაკეთება მოუწევს, **"ამიტომ მას გვერდით უნდა დაუდგნენ როგორც პოლიტიკოსები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები და მასმედია."** ნანა დევდარიანის მისამართით საკმაოდ დადებითად არიან განწყობილნი ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის წევრებიც.

ჯერ კიდევ რთული სათქმელია, შეცვლის თუ არა ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე კომისიის აპარატს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ძველი აპარატის დათხოვნა და ახლის დაკომპლექტება არჩევნებამდე ორი თვით ადრე საკმაოდ საეჭვო იქნება. მით უფრო, რომ ცესკო-ს ახალ თავმჯდომარეს სხვა საქმეებიც თავზე საყრელი დახვდება – ვგულისხმობთ, პირველ რიგში, საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას.

პრეზიდენტის არჩევანი პოლიტიკური სპექტრისთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. სახელისუფლებო პარტიები ჯერ კიდევ ორი დღის წინ ღიად აცხადებდნენ, რომ მათთვის ყველაზე მისაღები კანდიდატი სწორედ დევდარიანი იყო. შინაურ საუბრებში კი არც თუ ორაზროვნად მიანიშნებდნენ, რომ დევდარიანს ალტერნატივა არ ჰყავდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნინო ბურჯანაძეს საქართველოს დემოკრატიულობაში ეჭვი ეპარება

### და იმედს პირველკურსელებში ხედავს

გიორგი ასანიშვილი

პოლიტიკურ წრეებში უყვართ იმის კონსტატირება, რომ "პური მეპურემ უნდა გამოაცხოს". პროფესიონალიზმის აუცილებლობის "თეორია" საკმაოდ უნივერსალურია და იგი, ცხადია, იმასაც გულისხმობს, რომ კანონები იურისტებმა უნდა წერონ. ცივილიზებულ სახელმწიფოებში ასეც არის: განვითარებული ქვეყნების პარლამენტართა დიდ უმრავლესობას იურისტები შეადგენენ. ჩვენთან კი "პურისა და მეპურის" თეორია და პრაქტიკა ერთმანეთისგან საკმაოდ დაცილებულია - საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კვალიფიციური იურისტების დიდი დეფიციტია. შესაძლოა, სწორედ მის აღმოსაფხვრელად, თავის დროზე,

გაგრძელება A4 გვერდზე



ზაალ გოლაშვილის ფოტო

*პირველკურსელებმა პარლამენტის თავმჯდომარეს, მართლაც რომ, მოსვენება არ მისცეს.*

## შეერთებული შტატების ინტერესები საქართველოში

*სტატიის სათაური მკითხველს უთუოდ პრეტენზიული მოეჩვენება. რა უნდა იცოდეს საქართველოს ერთმა რიგითმა მოქალაქემ იმის შესახებ, თუ რა ინტერესი აქვს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოს მის ქვეყანაში ან, საერთოდ, მთელ რეგიონში - კავკასიაში. მაგრამ ამ "პოლიტიკურ მკითხაობას" აქვს გარკვეული დანიშნულება: ჯერ ერთი, კითხვა - ბოლოს და ბოლოს, რა ინტერესები აქვთ ამერიკელებს საქართველოში? - საკმაოდ ბევრ ადამიანს აწუხებს; მეორეც, ამ კითხვაზე თითოეული ჩვენგანის პასუხი ასახვა იქნება იმისა, თუ რამდენად რეალურად აღვიქვამთ ჩვენსავე მდგომარეობას, რა მოთხოვნებს ვუყენებთ საკუთარ თავს და როგორ ვხედავთ ჩვენსავე ადგილს თანამედროვე მსოფლიოში.*

ზურაბ ქიაბერაშვილი

კითხვა - რას წარმოადგენს შეერთებული შტატების ინტერესები საქართველოში? - განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოდან წავიდა ამერიკული კომპანია AES-ი. ქართულმა საზოგადოებამ იმდენად დიდი საფრთხე მსხვილი ინვესტორის წასვლაში ვერ დაინახა, რამდენადაც რუსეთის ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფი PAO-EEC-ისა და ГАЗПРОМ-ის მიერ ქართულ ენერგეტიკაზე ლამის სრული კონტროლის დამყარებაში.

ერთი შეხედვით, ეკონომიკური თემა - მიდის ერთი ინვესტორი და მოდის მეორე - პოლიტიკური დისკუსიის საგნად იქცა: ამერიკელთა მიერ ისეთი საკვანძო სფეროს დატოვება, როგორიც ენერგეტიკაა, ხომ არაა მათი მხრიდან საქართველოზე გულაცრუების პირველი სერიოზული ნიშანი და ხომ არ დატოვებენ ისინი სხვა სფეროებსაც? ან რუსების შემოსვლა ენერგეტიკაში, ხომ არ მოასწავებს იმას, რომ ისინი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სხვა სფეროებშიც მოახერხებენ მართვის ბერკეტების ხელში ჩაგდებას?

გაგრძელება A3 გვერდზე

## ტერორიზმის ინდექსი

*დიდ ბრიტანეთში მომზადდა იმ ქვეყნების ნუსხა, რომელთაც საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე ემუქრებათ. ნუსხაში, რომელშიც 200-მდე ქვეყანა შედის, საქართველოს 26-ე ადგილი უკავია.*

ბრიტანულმა კვლევითმა ცენტრმა World Markets research გამოაქვეყნა მოხსენება სახელწოდებით - "მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ტერორისტული აქტივობის ინდექსი". ეს მოხსენება იმთავითვე სენსაციად მოინათლა. გამოკვლევის ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მომავალ წელს ტერორისტული საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, დაემუქრება კოლუმბიას, ისრაელს, პაკისტანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. მეათე ადგილი უკავია დიდ ბრიტანეთს, რომელიც, მოხსენების ავტორთა აზრით, 2004 წელს გახდება ტერორისტული თავდასხმების ობიექტი ვაშინგტონთან მჭიდრო თანამშრომლობის გამო. სამაგიეროდ, სახელმწიფოებს, რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ ერაყის ომის წინააღმდეგ, გაცილებით ნაკლები შანსი აქვთ, გახდნენ ტერორის ობიექტები, ვიდრე თეთრი სახლის უახლოეს მოკავშირეებს. ამგვარად აღმოჩნდა საფრანგეთი ტერორისტების სამიზნე ქვეყნების ნუსხაში 23-ე, გერმანია კი 41-ე ადგილზე. პირველ ათეულში ამერიკის შეერთებულ შტატებს მოსდევს პლანეტის "ტრადიციული" ცხელი წერტილები - ფილიპინები, ავღანეთი, ინდონეზია, ერაყი, ინდოეთი და შრი-ლანკა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სახელისუფლებო ბლოკის პირველი ათეული

*სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები ერთმანეთში კონსულტაციათა სერიებს აგრძელებენ. არჩევნებამდე ორი თვით ადრე პრეზიდენტის მხარდამჭერთა მთავარი პრობლემა ერთიანი საარჩევნო სიის დაკომპლექტება და მაჟორიტარ კანდიდატთა საბოლოო შერჩევაა.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ საარჩევნო ბლოკის ოფისში კვლავ შეიკრიბნენ ბლოკის ლიდერები. ბუნებრივია, სხდომა დახურული იყო. მისი დასრულების შემდეგ კი პოლიტიკოსები აცხადებდნენ, რომ საარჩევნო სიებში კვოტები თითქმის გადანაწილებულია და მაჟორიტარ კანდიდატთა ვინაობა – გარკვეული.

**"სიის დაკომპლექტება უახლოეს დღეებში დაიწყება. მთავარია, შევჯერდეთ, პროცენტულად რომელ პარტიასა და ორგანიზაციას რამდენი ადგილი ერგება. ამ გათვლებს, ძირითადად, თითოეული ორგანიზაციის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით ვაკეთებთ. ამ მხრივ, "მოქალაქეთა კავშირი" უდავო ლიდერია. განსხვავებული მიდგომებია ახალ მოძრაობებთან დაკავშირებით. მათი კვოტები თითოეული ორგანიზაციის წევრთა რაოდენობით განისაზღვრება,"** – ამბობს საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი გია ზურაბაშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "გსეკ"-ი გუბერნატორებს ებრძვის

### სადისტრიბუციო ენერგოკომპანია თავნება გამგებელ-გუბერნატორებს ბრალდებებისათვის პასუხს სთხოვს

მაია ურუშაძე

გამგებელ-გუბერნატორებთან ბრძოლაში "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (გსეკ) ხელისუფლების მხარდაჭერას ითხოვს. "გსეკ"-ში აცხადებენ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციები ენერგოკომპანიას ენერგოკრიზისისათვის თავის დასაღწევად აუცილებელი პოლიტიკის გატარებაში ხელს უშლიან. **"ჩვენ პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის სიტყვიერი მხარდაჭერა გვაქვს, მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაციები შეზღუდვების პოლიტიკის გატარებაში ხელს სხვადასხვა მეთოდებით გვიშლიან,"** – განაცხადა გუშინ კომპანიის ლობისტმა ზურაბ ნოღაიდელმა საგანგებო პრესკონფერენციაზე.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ 27 აგვისტოს ენერგოკომპანიამ საქართველოს 23 ურჩ გადამხდელ რაიონს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა, თუმცა შვიდმა რაიონმა მოახერხა და ელექტროკვება უკანონოდ – მახლობლად მდებარე ელექტროსადგურებიდან მიიღო. ამჟამად ელექტროენერგიას უკანონოდ იღებს ოზურგეთი, ტყიბული, ამბროლაური, დუშეთი, ყაზბეგი, ლენტეხი და დმანისი. ოთხმა რაიონმა კი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური გადაიხადა და "გსეკ"-მა მათ ელექტრომომარაგება თავად აღუდგინა.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 ამბები | A4 ამბები | A5 უცხოეთი | A6 სპორტი | A7 რევიუ | A8 სხვადასხვა

# ჩეჩნებს სამშობლოში ეპატიჟებიან

*რუსეთიდან საქართველოში სამთავრობო დელეგაცია ჩამოვიდა, რომლის მიზანიც ჩეჩნების საკითხზე საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვაა; ამას გარდა - თავად ჩეჩენ დევნილებთან სამშობლოში დაბრუნებისათვის ნიადაგის შემზადებასაც შეეცდებიან.*

ლელა მჭედლიძე

დელეგაციას რუსეთის ფედერაციის მინისტრი სტანისლავ ილიასოვი ხელმძღვანელობს. ილიასოვმა საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილთან დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებების გამართვა გუშინ უკვე მოასწრო, საღამოს კი სახელმწიფო მინისტრს და ქვეყნის მეთაურს შეხვდა. ვრცელი ანგარიში ამ შეხვედრების და, საერთოდ, ვიზიტის შედეგებზე ილიასოვს დღეს ექნება. ოფიციალური რუსეთი მზად არის, საომარი მოქმედებების დროს დაზარალებულებს განადგურებული ქონების კომპენსაცია მისცეს. რუსეთის მხარის დაანგარიშებით, ეს დაახლოებით 12 ათასი დოლარია. გარდა ამისა, არსებობს გარკვეული გარანტიები იმ ოჯახებისთვისაც, ვინც ჩეჩნეთში დაბრუნებას გადაწყვეტს. რუსეთის წარმომადგენლის შეფასებით, დღეისათვის უკვე გამოძებნილია რამდენიმე ოჯახი, ვინც ამ პირობებზე სამშობლოში დასაბრუნებლად მზად არის. ძალის დატანებას, ილიასოვის მტკიცებით, რუსეთის ხელისუფლება არ აპირებს. საამისოდ მას ხელს ევროსაბჭოს რეკომენდაციებიც უშლის.

ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის წარმომადგენელი საქართველოში ხიზრი ალდამოვი კვლავაც სკეპტიკურად არის განწყობილი.

**"ასეთი ვიზიტები კარგა ხანია ტარდება, მაგრამ რეალურად, ჩეჩენი დევნილებისათვის კარგი არაფერი მოაქვს. ყოველ ჩამოსვლაზე ერთი ტომარა ფქვილი რომ ჩამოეტანათ, მაშინ უფრო გააკეთებდნენ საქმეს, ვიდრე ახლა ასეთი დაპირებებით. ხალხს დასაბრუნებლად სახლებს და მანქანებს ჰპირდებიან. არის ხალხი, ვინც ამ დაპირებებს დაუჯერებს, მაგრამ უმეტესობას აქედან წასვლა არ სურს. ახლა მოსკოვის წარმომადგენლები იმიტომაც აქტიურობენ, რომ ევროსაბჭოს თვალში, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ თავი გაიმართლონ. იმის ილუზია შექმნან, რომ არჩევნები ობიექტურად, დემოკრატიული ქვეყნის პირობებში ტარდება. რა გარანტიები უნდა მისცენ დევნილებს იმისათვის, რომ ჩეჩნეთში დაბრუნდნენ? ვერც ილიასოვი და ვერც პუტინი ასეთ გარანტიებს ამ ხალხს ვერ მისცემს,"** - ასეთია ალდამოვის პოზიცია, რომელიც ამავე დროს აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვას რუსეთს არავინ დაუშლის. შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი გუშინ აცხადებდა, რომ ოფიციალური დელეგაციის წარმომადგენლებთან კონკრეტულ საკითხებზე საუბრობდნენ და **"სტუმრების მხრიდან, ძირითადად, მისაღები პირობები იყო წარმოდგენილი. თუმცა, თუ თავად ჩეჩენ დევნილებს ეს პირობები არ აკმაყოფილებთ, მათ საქართველოდან ძალით არავინ უშვებს."**

# პოლიციის უფროს სერჟანტს პატიმრობა მიუსაჯეს

*გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის მეცხრე განყოფილების თანამშრომელი, პოლიციის უფროსი სერჟანტი ზურაბ ჭეხაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოცხადდა და 24 წლის აკაკი კელენჯერიძის მკვლელობა აღიარა. თუმცა, პოლიციელი თავს იცავდა და ირწმუნებოდა, რომ კელენჯერიძე შემთხვევით გასროლილი ტყვიის მსხვერპლი გახდა.*

ხათუნა ჭანგირაშვილი

"კელენჯერიძემ წინააღმდეგობა გამიწია, იარაღის წართმევას ცდილობდა, ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა მოვახდინე, ახალგაზრდა მეჭიდავებოდა, უცებ ტყვია გავარდა და კელენჯერიძე წაიქცა," - ასეთი გახლავთ პოლიციელის მიერ მიცემული ჩვენების მოკლე შინაარსი.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციელს - ზურაბ ჭეხაშვილს კოლეგები რამდენიმე დღის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ. ერთი კვირის წინ ბეჟანიშვილის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან გაქცეული ჭეხაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოცხადებამდე აღარავის უნახავს.

შემოვლაზე მყოფმა პოლიციელებმა - ჭეხაშვილმა, ტოლიაშვილმა და ცაბუაშვილმა გამვლელი ავტომანქანა გააჩერეს და მგზავრებს საბუთები მოსთხოვეს. მიუხედავად იმისა, რომ მგზავრებს - დაცვის სამსახურის თანამშრომლებს - საბუთები წესრიგში ჰქონდათ, მათსა და პოლიციელებს შორის შელაპარაკება მაინც მოხდა, რასაც გასროლა მოჰყვა და რომან კელენჯერიძე ადგილზევე გარდაიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილიდან გაქცეული, რამდენიმე დღის შემდეგ კი შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოცხადებული პოლიციის სერჟანტი ზურაბ ჭეხაშვილი თავგამოდებით ირწმუნება, რომ კელენჯერიძე გაუფრთხილებლობით გასროლილი ტყვიის მსხვერპლი გახდა, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. ექსპერტიზის დასკვნა წინააღმდეგობაში მოდის დამნაშავე პოლიციელის ჩვენებასთან. "ტყვია მიბჯენით არის ნასროლი," - ასეთია ექსპერტიზის პასუხი. დაკითხულები არიან ინციდენტის დროს ჭეხაშვილთან ერთად მყოფი პოლიციელებიც. **"უკვე გამოკვეთილია, რომ ინციდენტისას პოლიციელის მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება აუცილებლობას არ წარმოადგენდა. სამართალდამცველმა ზურაბ ჭეხაშვილმა საკუთარ უფლებამოსილებას გადააჭარბა. მას უკვე შეეფარდა წინასწარი სამთვიანი პატიმრობა განზრახ მკვლელობის ბრალდებით,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორის მოადგილემ ზურაბ საძაგლიშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში თავისი ფეხით მისულმა დამნაშავე პოლიციელმა კოლეგებს მკვლელობის იარაღი – სამსახურებრივი "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი ჩააბარა.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ კოლეგებთან საკუთარი ფეხით გამოცხადდა გლდანი-ნაძალადევის რაიონის უბნის ინსპექტორი მიხეილ წეველიძე და 24 წლის პაპუნა ღურწკაიას მკვლელობა აღიარა. უბნის ინსპექტორი წეველიძეც თავს იმართლებდა და ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ახალგაზრდა შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც სხვაგვარი იყო ექსპერტიზის დასკვნა და გამოძიების მასალებიც, რის გამოც უბნის ინსპოექტორს ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის პატიმრობა მიუსაჯეს.

# მკალავიშვილის „მრევლი" იმუქრება

ბასილ მკალავიშვილის მომხრეები კვლავაც ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრებიან. ეს იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა მკალავიშვილს სექტემბრის შუა რიცხვებამდე არ მოუხსნის ბრალდებებს. როგორც ცნობილია, ბასილ მკალავიშვილს ბრალად ედება იეღოვური ლიტერატურის დაწვა და ეკუმენისტური ლოცვის ჩაშლა. მკალავიშვილის "მრევლის" წარმომადგენელი პეტრე ივანიძე კი აცხადებს, რომ არსებობს ვიდეოჩანაწერი, სადაც კარგად ჩანს, რომ არც ერთ დანაშაულში ბასილ მკალავიშვილს მონაწილეობა არ მიუღია. საპირისპიროს ამტკიცებს პროკურორი კოტე ჯაოშვილი. მისი თქმით, ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერზე კარგად ჩანს, თუ როგორ წვავს მკალავიშვილი იეღოვურ ლიტერატურას.

ივანიძის თქმით, ის და მისი თანამოაზრენი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ თბილისის პროკურატურასთან და მკალავიშვილისთვის ბრალდებების მოხსნას ითხოვენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

*მედია-ნიუსი*

# სამი საათით გაიტაცეს

თბილისის პოლიციის სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, პოლიციამ ადამიანისთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის ბრალდებით სამი კაცი - 41 წლის ვაჟა მაზანაშვილი, 26 წლის კახა მიქაძე და 28 წლის ზაზა ლაბარტყავა დააკავა.

პრესსამსახურის მონაცემებით, დაკავებულებმა 30 აგვისტოს, საღამოს მოქალაქე ბაქარ შირაძე თბილისის შამპანურის ქარხანასთან მდებარე სასაფლაოზე წაიყვანეს და სამი საათის განმავლობაში უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე მიტოვებულ შენობაში მას სამი საათის განმავლობაში აწამებდნენ და თოკით დახრჩობას უპირებდნენ. საქმეს გლდანი-ნაძალადევის პროკურატურა იძიებს.

# „ნაციონალები" თამაზ ნადარეიშვილს დაუპირისპირდნენ

სოფო ბუკია



ვახტანგ გამსახურდია და კოტე კემულარია აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებას კორუმპირებულობაში ადანაშაულებენ.

**"დევნილთა თანხები დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევს, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, აფხაზეთისა და დევნილთა პრობლემების ნაცვლად, საკუთარი საქმეებითაა დაკავებული, ნადარეიშვილის პოლიტიკა სერიოზულ ჩიხშია შესული. ჩვენ ამასთან შეგუებას არ ვაპირებთ,"** – გუშინ "ნაციონალური მოძრაობის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციას, კოტე კემულარიასთან ერთად, ენგურის დევნილთა საპროტესტო აქციის საორგანიზაციო შტაბის ხელმძღვანელი ვახტანგ გამსახურდია და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები უძღვებოდნენ, რაც იმის დემონსტრირება გახლდათ, რომ "დევნილები "ნაციონალურ მოძრაობას" უჭერენ მხარს".

კოტე კემულარიას განცხადებით, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო შტო სერიოზულ კრიზისს განიცდის. "ნაციონალები" ნადარეიშვილს კორუმპირებულობაში ადანაშაულებენ და მის გადადგომას ითხოვენ.

**"ჩვენ, "აღორძინების" მსგავსად, ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმებას არ ვითხოვთ, პირიქით, მისი მომძლავრებაც გვინდა. ჩვენი ერთადერთი სურვილია, დევნილებზე და აფხაზეთთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე ნაკლებად კორუმპირებული ადამიანები ზრუნავდნენ. ჩვენ ვაკრიტიკებთ ასლან აბაშიძეს იმის გამო, რომ მან მაღალ თანამდებობებზე საკუთარი ნათესავები დანიშნა. ბუნებრივია, იგივე პრეტენზია გვექნება თამაზ ნადარეიშვილთანაც, რომელმაც თავისი 23 წლის ვაჟი იუსტიციის მინისტრად დანიშნა. აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას სანდო ლიდერები ეყოლება,"** – აღნიშნა კემულარიამ.

**"ნადარეიშვილმა ვერ გააკეთა ის, რასაც დევნილები და მთელი საქართველო მისგან მოველოდით, ის ვერ იქცა სინდისის მედროშედ. ამჟამად ნადარეიშვილის სტრუქტურა ბუფერია ხელისუფლებასა და დევნილებს შორის. ჩვენ არ გვჭირდება ხუთწლიანი ვადით არჩეული ხელისუფლება, რომელიც ათი წელია, მართავს კორუფციას,"** – აცხადებს ვახტანგ გამსახურდია.

კონკრეტულად, რა გზებით აპირებენ ნადარეიშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, გუშინდელ პრესკონფერენციაზე არ უთქვამთ.

თავად თამაზ ნადარეიშვილი მიიჩნევს, რომ "ნაციონალური მოძრაობის" გუშინდელი პრესკონფერენცია უჩვეულო სიცხეების ბრალია. **"ძალიან ცხელა. როცა აგრილდება, ალბათ, "ნაციონალებიც" დაწყნარდებიან,"** – აცხადებს თამაზ ნადარეიშვილი, რომლისთვისაც სრულიად გაუგებარია, რატომ ღელავენ "ნაციონალები".

# "გსეკ"-ი გუბერნატორებს ებრძვის

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ურჩ რაიონებს, მათ მიმართ კომპანიას სერიოზული პრეტენზიები აქვს. შესაძლოა, "გსეკ"-თან დაპირისპირებას მარნეულის გამგებლის გოჩა ლორიას სკამიც კი შეეწიროს. საქმე ისაა, რომ გოჩა ლორიამ "გსეკ"-ის დისპეტჩერს რაიონისთვის ელექტროენერგიის ჩართვა მოსთხოვა, ხოლო უარის მიღების შემდეგ კი, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მასაც და კომპანიის ამერიკელ მენეჯერებსაც. სიტყვამ რომ არ გასჭრა, გამგებელმა ტრადიციულ ხერხს მიმართა და კომპანიას "5000 კაცის ჩამოყვანით" და დარბევით დაემუქრა.

"გსეკ"-ი მომხდარი ფაქტის რეაგირების გარეშე დატოვებას არ აპირებს. როგორც გუშინ ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, "გსეკ"-ის ხელმძღვანელობა აუცილებლად მიმართავს პრეზიდენტს გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობა იმერეთის გუბერნატორ თემურ შაშიაშვილისა და ქვემო ქართლის გუბერნატორ ლევან მამალაძის მიერ "გსეკ"-ის პოლიტიკის მიმართ ბოლო დროს გამოთქმულ შენიშვნებსაც აპროტესტებს. ლევან მამალაძემ "გსეკ"-ის მიერ წარმოებულ შეზღუდვების პოლიტიკას "საბოტაჟი" უწოდა, ხოლო შაშიაშვილმა კომპანია აშშ-ს ელჩისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში დაადანაშაულა. **"ელჩს არავინ ატყუებს. "გსეკ"-ს ამერიკული კომპანია "პი-ეი კონსალტინგი" მართავს და ის არ ჰგავს კომპანიებს, რომლებთან ურთიერთობასაც იმერეთის გუბერნატორი შეეჩვია,"** – აცხადებენ "გსეკ"-ში.

როგორც გაირკვა, უდისციპლინობამ და მის საქმიანობაში რაიონების ადგილობრივი მმართველების უხეშმა ჩარევებმა ენერგოკომპანიას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი და ის საბითუმო ბაზრის მიერ დაწესებულ ლიმიტებს 300-350 პროცენტით აჭარბებს.

მიუხედავად ამისა, "გსეკ"-ში იმედოვნებენ, რომ ვითარება გაუმჯობესდება, როდესაც კომპანია შეზღუდვების წარმოებას ფიდერების მიხედვით დაიწყებს. **"ეს მაშინვე მოხდება, როგორც კი რაიონების ხელმძღვანელები გადახდის ინფორმაციას მოგვაწვდიან არა მთლიანობაში, არამედ ფიდერების მიხედვით,"** – აცხადებენ "გსეკ"-ში. ის 23 რაიონი, რომლებიც ახლა გათიშულია, სრულ შეზღუდვაში სწორედ იმის გამო მოყვა, რომ მათმა ხელმძღვანელებმა "გსეკ"-ისათვის ამ ინფორმაციის მიწოდება ვერ მოახერხეს.

გუშინვე აღინიშნა, რომ შეზღუდვების პოლიტიკის გარდა, რაიონების ელექტრომომარაგებას კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – წლეულს დროზე ადრე დაწყებული მწვავე ენერგოკრიზისი უშლის ხელს. **"იმის გამო, რომ ქვეყნის ენერგოსისტემაში დენის დეფიციტი იყო, ეს დღეები კარგი გადამხდელი რაიონებიც გაითიშა,"** – დააკონკრეტეს "გსეკ"-ში. კომპანიაში იმედოვნებენ, რომ რუსეთთან მაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების "სალხინოსა" და "კავკასიონის" აღდგენისთანავე რუსეთიდან დენის იმპორტი განახლდება და ეს პრობლემაც მოიხსნება.

მანამ კი ენერგეტიკოსთა წინააღმდეგ გუბერნატორები დემარშს განაგრძობენ. გუშინ, უშუქობით გაწბილებულმა ზუგდიდის მოსახლეობამ სახელმწიფო ელექტროსისტემის სამეგრელოს განყოფილებას ფანჯრები ჩაუმსხვრია. რეგიონში ვითარებამ იმ ზღვარს მიაღწია, რომ საქმეში სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მამუკა ნიკოლაიშვილის ჩარევა გახდა საჭირო, თუმცა რეგიონის მოსახლეობა ვერც ქვეყნის პირველმა ენერგეტიკოსმა დაამშვიდა.

სამაგიეროდ, მხარის გუბერნატორმა ბონდო ჯიქიამ მინისტრს "გსეკ"-ის ქმედება გაუპროტესტა და ელექტროენერგეტიკის კუთვნილი თანხების "სხვა მეთოდებით ამოღება" მოსთხოვა. ნიკოლაიშვილმა მას ელექტროსისტემის ხელმძღვანელებთან შეხვედრა და ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდებასთან დაკავშირებით პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზა. "უცხოელებმა ვერ შეასრულეს დანაპირები და ისინი უნდა შეიცვალონ," – ასეთია ჯიქიას პოზიცია, რასაც ნიკოლაიშვილიც ეთანხმება.

# სახელისუფლებო ბლოკის პირველი ათეული

პირველი გვერდიდან

თავად "მოქალაქეთა კავშირში" კვოტების გადანაწილება მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდგომ დაიწყება. როგორც გია ზურაბაშვილმა გუშინ "24 საათს" განუცხადა, სიაში არა მხოლოდ პარტიის აქტივისტები შევლენ. **"ჩვენთან იქნებიან ხელისუფლების მხარდამჭერი მოძრაობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა დიასპორები. გასათვალისწინებელია აგრეთვე რეგიონები და თბილისი."**

უნდა ითქვას, რომ სახელისუფლებო ბლოკი პარლამენტში 70 დეპუტატის გაყვანას გეგმავს. თუმცა, როგორც ამბობენ, იხილება ე.წ. სათადარიგო ვარიანტიც (ანუ 50 დეპუტატი).

მართალია, გია ზურაბაშვილი არ აკონკრეტებს, რომელი პარტია რამდენ ადგილს დაეპატრონება ერთიან საარჩევნო სიაში, მაგრამ ჩვენ ხელთ არსებული კულუარული ინფორმაციით საბოლოო სურათი თითქმის გარკვეულია. პირველი 50 ადგილი ასე გადანაწილდება: შვიდი – სოციალისტურ პარტიას, სამი – ეროვნულ-დემოკრატებს, თითო-თითო – "მწვანეებს" და "აბრეშუმის გზას", ხუთი – ვანო ზოდელავას პროტეჟეებს, ათი – ლევან მამალაძეს, თითოთითო – რეგიონებს. დანარჩენ ადგილებს კი პრეზიდენტისა და ავთანდილ ჯორბენაძის კადრები გადაინაწილებენ.

რაც შეეხება პირველ ათეულს, იმავე კულუარული ინფორმაციით სიის პირველი ნომერი კვლავ ღიად რჩება. მომდევნო ადგილებს ბლოკში შემავალი პოლიტიკური სუბიექტების პირველი პირები დაეპატრონებიან (ირინა სარიშვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე). დანარჩენ ვაკანსიას კი "მოქალაქეთა კავშირის" მიერ დასახელებული კანდიდატები შეავსებენ. თუკი რომელიმე ლიდერი სიაში შესვლაზე უარს იტყვის, მაშინ გამოთავისუფლებულ ადგილს "მოქალაქეთა კავშირი" აითვისებს. როგორც ამბობენ, პირველ ათეულში შევლენ ელგუჯა მეძმარიაშვილი, გია ზურაბაშვილი და ვიტალი ხაზარაძე. საუბრობენ, აგრეთვე, ირაკლი გოგავაზეც, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, მისი ბედი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

ბუნებრივია, არჩევნებში მნიშვნელოვანი როლი დაეკისრებათ რეგიონულ ლიდერებს. თუკი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სახელისუფლებო ბლოკს, პრინციპში, პრობლემები არ შეექმნება, განსხვავებული ვითარებაა იმერეთში, სადაც ბლოკის პოზიციები აშკარად მოისუსტებს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ იმერეთში რეგიონული საარჩევნო შტაბის უფროსად სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე გოგი უგრეხელიძეა მივლინებული. ბლოკის ლიდერების აზრით, გასაუმჯობესებელია მუშაობა სამეგრელოსა და გურიაში.

სხვათა შორის, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" აგრესიული საარჩევნო კამპანიის წარმართვას არ აპირებს. როგორც გია ზურაბაშვილი ამბობს, **"ასეთი ხმაური უფრო ოპოზიციონერებს სჭირდებათ, რადგან მათ, საქმის კეთებაზე მეტად, საუბარი ეხერხებათ."**

# ტერორიზმის ინდექსი

პირველი გვერდიდან

ნუსხის ბოლოში არიან განთავსებულნი ანდორა, ბელორუსი, ლიხტენშტეინი და სლოვენია. ისინი 181-დან 185-მდე ადგილებს ინაწილებენ. ტერორისტული თავდასხმების თვალსაზრისით ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად კი ჩრდილოეთ კორეაა აღიარებული, სადაც, მოხსენების ავტორთა აზრით, "რეპრესიული რეჟიმი შეუძლებელს ხდის ტერორიზმის ღიად გამოვლინებას". მაღალი რისკის ჯგუფში მოხვდა რუსეთი, რომელსაც სიაში მე-16 ადგილი უკავია, მას ალჟირი და იემენი მოსდევს.

World Markets research-ის ანალიტიკოსი დარიო ტებერნი აცხადებს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ტერაქტები ძირითადად ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებში განხორციელდება. მისივე აზრით, უახლოეს თვეებში მკვეთრად გაიზრდება ტერაქტების საშიშროება შუა აზიის ქვეყნებში, რომლებიც დიდ ზეწოლას განიცდიან რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების მხრიდან. ამით აიხსნება ტაჯიკეთის - 22-ე, ყირგიზეთისა და უზბეკეთის კი 27-ე ნომრად ყოფნა.

პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, რაც, ბრიტანელი მკვლევარების აზრით, "საქართველოსა და აზერბაიჯანში მოახლოებული არჩევნების გარდაუვალი თანმდევი იქნება", შესაძლოა, გამოიწვიოს ამ ქვეყნებში ტერორისტული ტალღის აგორება. თუმცა, ექსპერტებმა წინასაარჩევნო ციებცხელებაში მყოფ ამ ორ ქვეყანას შორის (ტერორისტული საფრთხის თვალსაზრისით) საკმაოდ დიდი ზღვარი გაავლეს – საქართველოს მათ მიერ შედგენილ სიაში 26-ე ადგილი უკავია, აზერბაიჯანი კი რიგით 59-ეა.

დარიო ტებერნის თქმით, ტერორისტული საფრთხე უმნიშვნელოა მოლდოვაში, ყაზახეთში, უკრაინასა და ბელორუსში .

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მე-12 დღეა, აფხაზეთის ომის ვეტერანები შიმშილობას განაგრძობენ. მათი მოთხოვნები უცვლელია - გადადგეს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება მთელი შემადგენლობით. აფხაზეთის ჯანდაცვის სამედიცინო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მანონი გაგუას განცხადებით, მოშიმშილეთაგან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია რუზგენ გოგოხია, რომელიც სასწრაფოდ სტაციონარში გადაყვანას საჭიროებს, მოშიმშილე კი კატეგორიულ უარს აცხადებს. ასევე, მძიმეა ერთ-ერთი მოშიმშილის — ანატოლი კვარაცხელიას მდგომარეობაც, რომელსაც წინასაინფარქტო მდგომარეობა ჰქონდა. იგი გადაყვანილია საავადმყოფოში, საიდანაც კვლავ აქციას დაუბრუნდა. გოგოხიას გადასხმებს ადგილზე უკეთებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ლევან მამალაძე ამერიკის ელჩისგან, რიჩარდ მაილსისგან პასუხის გაცემას ითხოვს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ იცავენ მისი თანამემამულე ენერგეტიკოსები იმ პირობას, რომელიც ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ რწმუნებულის აპარატთან შეხვედრის დროს დადეს და სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას მხოლოდ ურჩი გადამხდელების მიმართ გეგმავდნენ. „მარნეული და ბოლნისი იხდის, შუქი მაინც არ არის. ეს გაუგებარია", — აცხადებს მამალაძე და წუხს იმის გამო, რომ „ამერიკელები პაპუასებად და მეხუთეხარისხოვან ხალხად აღგვიქვამენ". **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი შევარდნაძე აცხადებს, რომ გაწვევის გადავადებაზე დაწესებული ორასლარიანი გადასახადი უნდა გაუქმდეს. "მისი დაწესება დიდი შეცდომა იყო. საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა წავიდეს ჯარში და იმსახუროს, ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას", - განაცხადა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** „დემოკრატიული აღორძინების კავშირის" (დაკ) ყრილობაზე, რომელიც, სავარაუდოდ, სექტემბრის დასაწყისში უნდა გაიმართოს, პარტია საპარლამენტო არჩევნებში სამოქმედო სტრატეგიას და ტაქტიკას შეიმუშავებს, რის შემდეგაც დაკ-ი საარჩევნო სიების შედგენას დაიწყებს. როგორც „აღორძინების" წევრმა სანდრო ბრეგაძემ განაცხადა, ყრილობაზე პარტიულ თანამდებობებთან დაკავშირებული სიურპრიზები მოსალოდნელი არ არის, მაგრამ მის შემადგენლობაში გარკვეული კორექტირებები შევა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირიდან" პარტიის თანამშრომელთა, რიგით წევრთა და აქტივისტთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი "აღორძინების კავშირში" გადავიდა. ყოფილი "ეროვნულები" პარტიის ლიდერებს "გამიზნულ უმოქმედობაში, აქტიური ქმედებების დამუხრუჭებასა და ცრუ დაპირებებში" ადანაშაულებენ. "პარტიის ხელმძღვანელები ყველას, ვისაც ნამდვილად საქმის კეთება უნდოდა, ვინც კითხვებს სვამდა მოახლოებულ არჩევნებთან, პოლიტიკურ ალიანსებთან, თუ პარტიის ფინანსებთან დაკავშირებით, ამრეზით უყურებდნენ, დაუფარავად და უსაფუძვლოდ ებრძოდნენ და აჩუმებდნენ," - განაცხადა გუშინ "აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე "ეროვნულების" ყოფილმა პრეს-მდივანმა მზია ბაქრაძემ. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

### ესპანეთში მოშიმშილე ქართველ მეზღვაურებს ტარიელ ონიანის ცოლი მფარველობს

ესპანეთში საქართველოს კონსული კასტელონში ჩავიდა, იგი ხომალდ "ჯაზინ-1"-ის ქართველ მეზღვაურებს ინახულებს. როგორც ცნობილია, იამაიკის დროშით მცურავ გემზე მომსახურე 9 ქართველი მესაზღვრე მეპატრონეებისაგან სახელფასო დავალიანების დაფარვას ითხოვს, რის გამოც მათ შიმშილობის აქცია დაიწყეს.

საქმე ისაა, რომ გემი "ჯაზინ-1" 9 ივნისს ესპანეთის ხელისუფლებამ კასტელონის პორტში შესვლისთანავე დააპატიმრა. ხომალდის ეკიპაჟი ჯერ კიდევ 1998 წელს სიგარეტის კონტრაბანდის ბრალდებით დააკავეს და ესპანეთის ხელისუფლებამ მას სოლიდური ჯარიმის გადახდა დააკისრა, თუმცა გემის მაშინდელი კაპიტანი არ დაემორჩილა ესპანეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას და ხომალდმა ისე დატოვა ესპანეთის პორტი, რომ ჯარიმა არ გადაიხადა. "ჯაზინ-1"-ის ახალი კაპიტანი ამჯერად აცხადებს, რომ მისთვის უცნობი იყო 1998 წლის ისტორია. მანვე ხომალდის ქართული ეკიპაჟისათვის ხელფასის გადახდაზე უარი თქვა, რის გამოც ქართველმა მეზღვაურებმა სამდღიანი შიმშილობა გამოაცხადეს. შიმშილობა მას შემდეგ შეწყდა, რაც საქმეში საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები ჩაერთო და "ჯაზინ-1"-ის მეპატრონეებმა პირობა დადეს, რომ დავალიანებას დაფარავდნენ. ორმა მეზღვაურმა უკვე მიიღო კუთვნილი თანხა და ისინი სამშობლოში დასაბრუნებლად მზად არიან. დანარჩენები კი დაპირებული თანხის მოლოდინში არიან. გავრცელებული ინფორმაციით, მოტყუებული თანამემამულეების ბედით დაინტერესდა ესპანეთში მცხოვრები ავტორიტეტული კრიმინალი ტარიელ ონიანი. სწორედ მისი ჩარევის შემდეგ დაიწყო გემის მეპატრონეებმ დაქირავებული მეზღვაურებისთვის ხელფასის გადახდა. რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ქართველ მეზღვაურებთან ამჟამად იმყოფება ცნობილი ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის ტარიელ ონიანის მეუღლე, რომელმაც მეზღვაურებზე "შეფობა აიღო".

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**რუსთავი.** რუსთავის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელი ზაზა კოკაია სავალუტო ფონდის მიერ გაცემული მითითებების პირნათლად შესრულებას გეგმავს და ქვემო ქართლში ურჩი გადამხდელი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ დაშინების მეთოდის გამოყენებას აპირებს. იგი საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლის ამოქმედებას, ორგანიზაციების ქონების დაყადაღებას, სასამართლოში გადაცემას და აუქციონის წესით გაყიდვას გეგმავს. კოკაიას განცხადებით, ადგილობრივი წარმომადგენლობებისთვის მიცემული მითითებების შედეგი სახეზეა; მაგალითისთვის იგი რუსთავის სს „ემოს" ასახელებს, რომელმაც ბიუჯეტის სასარგებლოდ 250.000 ლარი უკვე გადაიხადა იმის შიშით, რომ ორგანიზაცია აუქციონის წესით არ გაყიდულიყო. კოკაიას ცნობით, 15 ორგანიზაციაზე გრაფიკია შედგენილი, რომლის მიხედვითაც, მათ საბიუჯეტო დავალიანება უნდა გადაიხადონ. უახლოეს დღეებში რუსთავის საოლქო-საგადასახადო ინსპექცია ხუთი ორგანიზაციის გაყიდვას აპირებს აუქციონის წესით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთსა და ევროპის ნავსადგურებს შორის რეგულარული საკონტეინერო გადაზიდვები იწყება. როგორც ტრასეკა-ს საქართველოს ეროვნულმა მდივანმა გიორგი გოგიაშვილმა განაცხადა, 9 სექტემბერს ფოთში ამერიკული დროშით პირველად შემოვა კონტეინერების გადამზიდავი გემი. ამიერიდან აშშ-ს მთავრობის ყველა ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც საქართველოსთვის ან რეგიონისთვის არის განკუთვნილი პირდაპირ ფოთში შემოვა. დღემდე ეს ტვირთები თურქეთის ან გერმანიის ნავსადგურების გავლით, იქ გადატვირთვის შემდეგ შემოჰქონდათ. საკონტეინერო გადაზიდვებს საერთაშორისო კომპანია „პი ენდ ოუ ნედლოიდი" განახორციელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის შემდგომი განხორციელება, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს," - მიიჩნევს "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" პრეზიდენტი თენგიზ შერგელაშვილი. მისი თქმით, თუ ქვეყანაში პოლიტიკური გარემო არ შეიცვალა, ამ პროექტს საფრთხე შეექმნება. "ხელისუფლებამ ქვეყანაში სერიოზული საინვესტიციო გარემო და ასევე სერიოზული სტაბილურობის გარანტი უნდა შექმნას, თუმცა დღეს ყველა პოლიტიკური პარტია ამის საწინააღმდეგო განცხადებებით გამოდის, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის, საინვესტიციო გარემოსთვის დამღუპველია," - აცხადებს ასოციაციის პრეზიდენტი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის მერიის არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ცენტრმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებას სახელმძღვანელოები და სასწავლო ინვენტარი გადასცეს. გარდა ამისა, კოლონიის 17 არასრულწლოვან მსჯავრდებულს საჩუქრად ფერადი ტელევიზორიც გადაეცემა. ამასთანავე, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კოლონიაში კონცერტი გაიმართება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 28 წლის ბადრი გონაშვილი თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილის სტატუსით დააპატიმრეს. 29 აგვისტოს გონაშვილმა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიასთან სედიკ ქაქულოვას დანის მუქარით გასტაცა 210 ლარი და სხვა პირადი ნივთები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, 23 წლის ლაშა თორია, 21 წლის გიორგი პაჭკორიასთან ერთად ტაქსის მძღოლზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს. დაკავებულებმა ტაქსის მძღოლს - პაატა გაბიტაშვილს დანისა და საფანტის ტიპის პისტოლეტის მუქარით გასტაცეს 34 ლარი, ავტომანქანის აუდიომაგნიტოფონი და საბუთები. დაკავებულებისაგან პოლიციელებმა უნომრო საფანტის ტიპის პისტოლეტი „ვალტერი" ამოიღეს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის მე-3 მიკრორაიონში მდებარე ერთ-ერთ კორპუსთან აღმოაჩინეს 65 წლის ლიანა ფირცხალაიშვილის გვამი.

გარდაცვლილის გვამს დაზიანებები არ აღენიშნება. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ აღძრა. დანიშნულია გვამის ექსპერტიზა, რომელიც გარდაცვალების მიზეზებს დაადგენს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შაბათს 40 წლის გერონტი მალაციძემ თბილისის საგამოფენო ცენტრ "ექსპოჯორჯიასთან" თვითმკვლელობა სცადა. მან, დაახლოებით, 15.00 საათზე ბენზინი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა. მალაციძე ამჟამად დამწვრობის რესპუბლიკურ ცენტრში არის მოთავსებული. საქმეს პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამართალდამცველებმა ზესტაფონის "წყალკანალმეურნეობის" დირექტორი ტარიელ არაბიძე დააკავეს. წინასწარი მონაცემებით მას ბრალი ედება საკანალიზაციო მილების უკანონო გაყიდვაში. "წყალკანალმეურნეობის" თანამშრომლები აცხადებენ, რომ არაბიძე გაუგებრობის მსხვერპლი გახდა. ისინი იმედოვნებენ, რომ "უსარგებლო ჯართის" ნაჭრებს მათი ხელმძღვანელის თავისუფლება და რეპუტაცია არ შეეწირება. **ინტერ-პრესი.**

# ცესკო-ს თავმჯდომარე - ყოფილი სოციალისტი, მაგრამ ომბუდსმენი

პირველი გვერდიდან



ცესკოს ახალი თავმჯდომარე.

გუშინ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი ჩანდნენ ოპოზიციური პარტიები (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთი პარტიის ლიდერს დევდარიანისადმი პიროვნული პრეტენზიები არ წაუყენებია). ოპოზიციონერთა შეშფოთებას დევდარიანის ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება და მისი პოლიტიკური წარსული იწვევდა (შეგახსენებთ, რომ ომბუდსმენად დანიშვნამდე ნანა დევდარიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე იყო).

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერის, დავით საგანელიძის აზრით, პრეზიდენტმა ნანა დევდარიანი სწორედ პარტიული ნიშნით შეარჩია. თუმცა "ახლების" მეორე წევრი დავით კოლუაშვილი მიიჩნევს, რომ დევდარიანის საქმიანობამ ომბუდსმენის პოსტზე აჩვენა, რომ **"სურვილის შემთხვევაში მას შეუძლია იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. ჩვენ მხარს ვუჭერდით ვახტანგ ხმალაძეს, მაგრამ არც ნანა დევდარიანის მიუკერძოებლობაში უნდა შეგვეპაროს ეჭვი",** - განუცხადა "24 საათს" კოლუაშვილმა.

"ახლებისაგან" განსხვავებით, გუშინ საკმაოდ კატეგორიულები იყვნენ "ნაციონალები", "ლეიბორისტები", "გაერთიანებული დემოკრატები" და "აღორძინება".

კობა დავითაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა": **"დევდარიანი მეორე რუსუდან ბერიძეა. უბრალოდ, პრეზიდენტმა ბერიძე დევდარიანით ჩაანაცვლა და ის სახელისუფლებო ბლოკის მეექვსე წევრად აქცია. დანარჩენი ორი კანდიდატი ჩვენთვის გაცილებით მისაღები იყო."**

მიხეილ მაჭავარიანი, "გაერთიანებული დემოკრატები": **"ნანა დევდარიანი ცესკო-ში სახელისუფლებო ბლოკის მე-6 წევრია. იგი ყველაზე მისაღები კანდიდატურა იყო სახელისუფლებო ბლოკისათვის. დევდარიანი სოციალისტური პარტიის ყოფილი წევრი და მასთან დაახლოებული პირია, სოციალისტური პარტია კი სახელისუფლებო ბლოკშია გაწევრიანებული."**

ჯემალ გოგიტიძე, "აღორძინება": **"ნანა დევდარიანი ვერ იქნება არჩევნების დროს ნეიტრალური და შეასრულებს ისეთ დავალებებს, რაც მომგებიანი იქნება სახელისუფლებო ბლოკისათვის."**

შალვა ნათელაშვილი, "ლეიბორისტული პარტია": **"ნანა დევდარიანი ხელისუფლებასთან ასოცირებული ქალბატონია და სახელისუფლებო ბლოკის დავალებებს შეასრულებს. ეუთო-მ არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გააკეთა."**

ჯუმბერ პატიაშვილი, "ერთობა": **"ნანა დევდარიანის დანიშვნა იმაზე მეტყველებს, რომ ედუარდ შევარდნაძე არაადეკვატურად რეაგირებს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე და საზოგადოებრივ აზრს ანგარიშს არ უწევს."**

უნდა ითქვას, რომ არც შალვა ნათელაშვილი და არც ჯუმბერ პატიაშვილი გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებენ იმას, თუ ვინ იქნება ცესკო-ს თავმჯდომარე. პატიაშვილის თქმით, სახელისუფლებო ბლოკს, "აღორძინებასთან" და "მრეწველებთან" ერთად, ცესკო-ში ისედაც ჰქონდა უპირატესობა და საარჩევნო ხმების თავის სასარგებლოდ დათვლის საშუალება.

**"არჩევნები ეუთო-ს ეგიდით ტარდება, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ცესკო-ს თავმჯდომარე, რადგან არჩევნების მასობრივი გაყალბება გამორიცხულია,"** - ეს უკვე ქართველ "ლეიბორისტთა" ბელადის სიტყვებია.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებას თავშეკავებული კომენტარით შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე: **"მინდა იმედი ვიქონიო, რომ ცესკო ნორმალურად იფუნქციონირებს. ცხადია, სასურველი იყო, რომ ცესკო-ს თავმჯდომარეობის თითოეული კანდიდატი მაქსიმალურად ყოფილიყო დისტანცირებული ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისგან თუ კავშირისაგან, მაგრამ ამის გაკეთება, ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, ძალიან რთული იყო. რამდენად გაართმევს თავს ნანა დევდარიანი ცესკო-ს თავმჯდომარეობას, მომავალი გვიჩვენებს. პოზიტიურად ვაფასებ იმას, რომ დევდარიანი აპირებს, პრესისა და მასმედიის საქმიანობასთან დაკავშირებით, ცესკო-ს გადაწყვეტილების გაუქმება სცადოს."**

თავად ნანა დევდარიანი კი საკმაოდ მშვიდად ხვდება მისი მისამართით გამოთქმულ შეფასებებს და აცხადებს, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგებში ვერც ერთი ოპოზიციური პარტია ვერ შეიტანს ეჭვს.

**"ჩემთვის გასაგებია ზოგი პარტიის პოზიცია, რადგან ყველას სურდა, ცესკო-ს თავმჯდომარედ მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი პიროვნება დანიშნულიყო. სახალხო დამცველის თანამდებობაზე სამი წლის მუშაობის პერიოდში პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ომბუდსმენის ოფისში არც ერთი პოლიტიკურად მიკერძოებული გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული... სახალხო დამცველის თანამდებობაზე არჩევის დღიდან "სოციალისტური პარტიის" რიგები საკუთარი განცხადების საფუძველზე დავტოვე... ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ცსკო-ს თავმჯდომარის პოსტზე ჩემი მისვლით მდგომარეობა ან გაუიოლდება, ან გაურთულდება,"** – ასეთ განცხადებებს აკეთებდა გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარე.

# ნიკო ლეკიშვილი სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატობას უარყოფს

გუშინ ნიკო ლეკიშვილმა უარყო ინფომარცია იმის შესახებ, რომ იგი ამბროლაურის რაიონში კენჭს იყრის, როგორც ხელისუფლების საარჩევნო ბლოკის კანდიდატი. როგორც ნიკო ლეკიშვილმა "24 საათს" განუცხადა, იგი მართლაც იღებს მონაწილეობას მაჟორიტარულ არჩევნებში, მაგრამ არა როგორც რომელიმე პარტიის, არამედ როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი. **"ჩემთვის პარტიების მხარდაჭერა ის იქნება, თუკი ამბროლაურში სხვა კანდიდატებს არ წამოაყენებენ და ასეთ შემთხვევაში ყველას მადლობელი ვიქნები,"** - განაცხადა ლეკიშვილმა.

*24 საათი*


## მოთხოვნა წინადადებების წარდგენაზე
## გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა
## ფაუნის იშვიათი სახეობების კონსერვაციის ღონისძიებების მართვა

btc

SCP South Caucasus Pipeline

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) და
სამხრეთ კავკასიის (სკმ) მილსადენები
ოპერატორი - კომპანია "BP"

გამოქვეყნების თარიღი: 1 სექტემბერი 2003 წ
კონკურსის დახურვის თარიღი და დრო: 13 ოქტომბერი 2003 წ, 16.00 სთ თბილისის დროით

კომპანია "BP", რომელიც მოქმედებს როგორც ოპერატორი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) კომპანიისა და შპს სამხრეთ კავკასიის მილსადენის (სკმ) სახელით, მიიღებს განაცხადებს ადგილობრივი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომელთა ძირითადი მიზანი იქნება ბთჯ და სკმ-ის მიერ [illegible] პროექტის გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის ჩარჩოში განსაზღვრული [illegible] პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის უმთავრესი მიზანია ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და პოპულარიზაციას. გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა დაფუძნებულია რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებაზე, რომლებიც განსაზღვრა ეროვნულ და საერთაშორისო "ინტერესის მქონე ჯგუფებთან" საკონსულტაციო პროცესში.

ამჟამად განიხილება შემოთავაზებები პროექტებზე, რომლებიც ეხება მხოლოდ შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებას: ფაუნის იშვიათი სახეობების, კერძოდ კავკასიური როჭოს (*Tetrao mlokosiewiczi*) და მურა დათვის (*Ursus arctos*), კონსერვაციის ღონისძიებების მართვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორი სახეობა პრიორიტეტულია, მიიღება სხვა ფაუნის იშვიათ სახეობებთან დაკავშირებული წინადადებების განხილვაც, თუ მილსადენთან კავშირი დასაბუთებული იქნება. გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვა მიმართულებებისათვის მოთხოვნა წინადადებების წარდგენაზე გამოქვეყნდება ცალკე.

კომპანია "BP", როგორც აღნიშნული პროექტების ოპერატორი, [illegible] შეუწყობს ხელს საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონალურ / რაიონულ ორგანიზაციებს შორის ალიანსების შექმნას [illegible] პროგრამების პროექტების განსახორციელებლად.

წინადადებების წარდგენა შეუძლიათ შემდეგ ორგანიზაციებს:

- არაკომერციული, კერძო მომსახურე ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომლებიც ოფიციალურად რეგისტრირებული არიან საქართველოში და გააჩნიათ საქმიანობის განხორციელების ნებართვა.
- საქართველოში რეგისტრირებული კერძო ან კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც პროექტის საქმიანობის განხორციელებენ ხარჯების ანაზღაურების საფუძველზე (ე.ი. შემოსავლისა და მოგებაზე უარის თქმის პირობით).
- საქართველოში არარეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციები (ე.ი. რომელთაც არ გააჩნიათ საქართველოში საქმიანობის განხორციელების ნებართვა) ეროვნულ ორგანიზაციებთან დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.
- ზემოაღნიშნულის ნებისმიერი კომბინაცია დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა უნდა დაასაბუთონ, რომ გააჩნიათ შემდეგი სახის კომპეტენცია:

- გრანტის ტიპის პროექტის ან ანალოგიური ინიციატივის მართვის და / ან განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება, რომლის მინიმალური ღირებულება არაა ნაკლები 50 000 აშშ დოლარზე პროექტის მიმდინარეობის მანძილზე.
- ბიომრავალფეროვნების / ეკოლოგიის დარგში პროექტების მართვისა და განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება.
- შემოთავაზებული პროექტის სფეროში დასაბუთებული კომპეტენცია.
- სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილ საქმიანობაში ჩართული ყველა პირის [illegible] მდგრადობისა და უსაფრთხოების დაცვას.
- ანგარიშების არსებობა, რომელთა აუდიტიც შესაძლებელია.

განაცხადის შეტანის მსურველებს შეუძლიათ წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაციის წაღება 2003 წლის 1 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე შემდეგი მისამართიდან:

ბთჯ მილსადენის კომპანია / შპს სკმ
კომპანია "BP"-ის საქართველოს პროექტების ოფისი
საქართველო, თბილისი 380094
სანაპიროს ქ. №38

წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაცია აგრეთვე განთავსებულია პროექტის ვებ-გვერდზე: www.caspiandevelopmentandexport.com.


# შეერთებული შტატების ინტერესები საქართველოში

პირველი გვერდიდან

ამ კითხვებს საფუძვლად უდევს ამერიკა-რუსეთის გლობალური დაპირისპირების თეორია და, რაც უნდა მოძველებულად მოგვეჩვენოს იგი, ან რაც უნდა გვიმტკიცონ პრორუსული ორიენტაციის მომხრეებმა, თითქოსდა ამერიკარუსეთს შორის დაპირისპირება აღარ არსებობს, მე მაინც ამ "ძველმოდური" თეორიის მიმდევრად ვრჩები. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ ამ დაპირისპირებაში სულ უფრო მეტად იზრდება შეერთებული შტატების უპირატესობა.

რაკი კითხვების საფუძვლად აღებულ თეორიას ვემხრობი, ბუნებრივია, პასუხიც იმავე თეორიიდან უნდა გავცე: იმის მიუხედავად, რომ ამერიკელმა ინვესტორმა, როგორც ეკონომიკურმა სუბიექტმა, დატოვა საქართველო, და ეს ნამდვილად არის ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც პოლიტიკური სუბიექტის მხრიდან საქართველოზე გულაცრუების პირველი სერიოზული ნიშანი, მე მიმაჩნია, რომ შეერთებული შტატების ინტერესები საქართველოში კვლავ იგივე რჩება:

ნავთობ და გაზსადენების საერთაშორისო პროექტებში საქართველოს მონაწილეობა;

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, მობილური სამხედრო შენაერთების შექმნა;

სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა.

რაც ამ სიას AES-ის წასვლით აკლდება, ეს საქართველოს ეკონომიკური დახმარებაა. რომ არა შეერთებული შტატების პოლიტიკური ნება, მის მეგობარ ქვეყანას დახმარებოდა ისეთ საკვანძო ეკონომიკურ სფეროში, როგორიც ენერგეტიკაა, AES-ი საქართველოდან უკვე დიდი ხნის წასული იქნებოდა. სწორედ იმის გამო, რომ ინვესტორი ამერიკელი იყო, შეერთებული შტატების მთავრობა, AES-ის ინვესტიციების მიღმა, სერიოზულ ფინანსურ დახმარებას უწევდა საქართველოს მთავრობასა და მოქალაქეებს თუნდაც მხოლოდ ენერგეტიკის სფეროში.

ანუ AES-ის წასვლა ნიშანია არა იმის, რომ შეერთებული შტატები აღარ აპირებს საქართველოსთან თანამშრომლობას ზემოჩამოთვლილ სამ სფეროში, არამედ მეტყველებს ერთ რამეზე: ვაშინგტონი აღარ აპირებს, საქართველოს მთავრობისა და მოქალაქეების ნაცვლად (როგორც აქამდე არაერთხელ მომხდარა) მოაგვაროს ის პრობლემები, რაც საქართველოს მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა.

AES-ის წასვლას დაემატა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების შეჩერება, რაც საქართველოს მთავრობის მიერ იმთავითვე არარეალური ბიუჯეტის პარლამენტში გატანას და მერე ამ ბიუჯეტის შეუსრულებლობას მოჰყვა. ძნელია, ამაში ვინმე დაადანაშაულო, თუ არა ისევ და ისევ საქართველოს ხელისუფლება.

ამერიკელებმა დაინახეს, რომ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების მიუხედავად, ბიუჯეტი მაინც არ სრულდება, რადგან მთავრობა გადასახადებს ვერ კრებს; ჩადებული ინვესტიციების მიუხედავად, AES-ი საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მუდმივად აწყდება დაბრკოლებებს და ამ ქვეყანაში არავინ ზრუნავს ინვესტორის შენარჩუნებაზე; რაც მთავარია, ქართული საზოგადოება მშვიდად ცხოვრობს სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშეც.

ამერიკელთა ადგილზე მე ასე ვიმსჯელებდი: საქართველოს რამდენიმე სფეროში ვეხმარებით, მაგრამ ყველგან ვერ ვხედავთ დახმარების შედეგს. ნავთობსადენი გადის (დავივიწყოთ დროებით ბორჯომის ხეობის ირგვლივ ატეხილი უსიამოვნო სკანდალი), ჯარი იწვრთნება (თუმცა საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს, რომ რუსეთს სტამბულის 1999 წლის შეთანხმების შესრულება და სამხედრო ბაზების გატანა აიძულოს), სამოქალაქო ჯგუფები აქტიურობენ (თუმცა დროა, ეს აქტიურობა თბილისს გასცდეს). არანაირი შედეგი არ არის მხოლოდ იქ, სადაც დახმარება საქართველოს ხელისუფლების გავლით უნდა მიდიოდეს თითოეულ ქართველთან. ამას ერთადერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: საქართველოს მთავრობა არ არის ანგარიშვალდებული საკუთარი მოქალაქეების წინაშე, რაც, როგორც ერთის, ისე მეორის ბრალია. ერთი ანგარიშს არ აბარებს, მაგრამ, რაც არანაკლებ სამწუხაროა, მეორე არც ითხოვს ამას.

ამიტომ ამერიკელთა ადგილზე მე შემდეგ დასკვნას გავაკეთებდი: რაკი ჩვენს ეკონომიკურ დახმარებას საქართველოს მოქალაქეები ვერ გრძნობენ, მაგრამ არც ითხოვენ საკუთარი მთავრობისაგან პასუხს ამაზე, როგორც ჩანს, საქართველოს მოქალაქეებს არც სჭირდებათ ჩვენი ეკონომიკური დახმარება (თუმცა იმაში ნამდვილად სჭირდებათ დახმარება, რომ გაიგონ: ნორმალური ცხოვრება იწყება მაშინ, როცა ანგარიშს თხოვ შენსავე მთავრობას). ამიტომ დავიტოვოთ ის სფეროები – ნავთობსადენი, ჯარი, სამოქალაქო საზოგადოება – სადაც ჩვენი დახმარება ჩვენსავე კონტროლს ექვემდებარება, ხოლო ის სფეროები, სადაც ჩვენი 8-9-წლიანი დახმარება უშედეგოა, ქართველებსავე დავუტოვოთ მოსაგვარებლად, მით უმეტეს, თუ რუსები არ იტყვიან უარს, თავადაც აიღონ პასუხისმგებლობა ამ სფეროებზე.

თუ ამ ლოგიკას მივყვებით, შედეგად ვიღებთ შემდეგ მდგომარეობას: ამერიკელები რჩებიან მათთვის, მართლაც, სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროებში; იმ სფეროებში კი, რომელთა მოგვარება მათთვისაც სასურველი იქნებოდა (მმართველობის დემოკრატიული სისტემა, რეფორმები სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებში), რადგან ჯანსაღ პარტნიორთა ურთიერთობა სჯობს იმავე ნავთობსადენისა თუ სამხედრო საკითხებში, ამერიკელები უკანა პლანზე გადიან და დამკვირვებლის პოზიციას ირჩევენ: ვნახოთ, რას შეძლებენ ქართველები ჩვენგან დამოუკიდებლად და, რაც ძალიან საინტერესოა, რუსებთან ერთად.

ამდენად, ჩემთვის ამერიკელთა გადაწყვეტილება სავსებით ბუნებრივია და არც თუ მოულოდნელი იმ ფონზე, თუ როგორ მოქმედებდა ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება. თემის დახურვა აქვე შეიძლებოდა, რომ არა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება: ამერიკელთა (იმედი მაქვს, დროებითი) გადაწყვეტილება, რუსებს გარკვეული კარტბლანში მისცენ, ემთხვევა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდს საქართველოში.

როგორც კი ქართული საზოგადოება (უფრო სწორად, მისი ნაწილი) შეშფოთდა, ხომ არ შეცვალა საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო ორიენტაცია და, შესაბამისად, არ ამოშალეს ამერიკელებმა საქართველო იმ ქვეყნების სიიდან, სადაც მათ სასიცოცხლო ინტერესები აქვთ, იმწამსვე გაჩნდა აზრი: საქართველოს პრეზიდენტმა, ხელისუფლებამ ამერიკელები "გადააგდო".

ამ აზრს ვერაფრით დავეთანხმები, თუმცა არა იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამგვარი რამ მოულოდნელი იქნებოდა. როგორც დღეს ვხედავ, ამერიკელები არსად არ მიდიან და არ აპირებენ: უარი თქვან ნავთობსადენზე, რომელზეც, მართლაც, არის დამოკიდებული მათი რუსეთთან გლობალური დაპირისპირების შედეგი; შესაბამისად, უარს არ ამბობენ ნავთობსადენის დაცვაზე; და უარს არ ამბობენ საქართველოში სამოქალაქო ინსტიტუტების მხარდაჭერაზე, რადგან იმედი, რომ საქართველოში დემოკრატია შესაძლებელია, ჯერ კიდევ ცოცხლობს (ამის ნათელი დადასტურება ჯეიმს ბეიკერის ვიზიტია, რომელიც საქართველოში არა იმდენად მონატრებული მეგობრის ნახვის სურვილმა ჩამოიყვანა, რამდენადაც დემოკრატიული ძვრებისათვის ხელშეწყობის ინტერესმა).

სამაგიეროდ, საქართველოს პრეზიდენტი ორი საკვანძო ზამთრის განმავლობაში მარტო (უფრო სწორად, რუსებთან ერთად, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მის მდგომარეობას) რჩება უშუქობის, უგაზობის, უპენსიობის და ა.შ. წინაშე, აქედან გამომდინარე შესაძლო შედეგების მოლოდინში. თუ კარგად ჩავუკვირდებით, პასუხი კითხვაზე – ვის ვინ უფრო სჭირდებოდა ამ ეტაპზე - საქართველოს პრეზიდენტს ამერიკელები თუ ამერიკელებს საქართველოს პრეზიდენტი – ნათელი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, შესაძლო დესტაბილიზაცია საქართველოში ყველას ინტერესს ემუქრება, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით, მაგრამ ქვეყნის გარეთ, ჩემი აზრით, ეს ნაკლებად უნდა აღელვებდეთ, რადგან ჯერჯერობით არავინ, არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი არ ამბობს (ყოველ შემთხვევაში, ღიად), რომ საქართველოში ნავთობსადენმა არ უნდა გაიაროს და ქართული ჯარის "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამა უნდა შეწყდეს.

პოლიტიკური ძალები ეჭვის თვალით უყურებენ, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებას და, კონკრეტულად კი, გარკვეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეჭვი ფართომასშტაბიან აგრესიულ ქმედებაში არა თუ ვერ გადადის, მაძლევს სწორედ იმის იმედს, რომ ვთქვა: ამერიკელებს სჯერათ დემოკრატიისა საქართველოში, ამერიკელებს აქვთ გრძელვადიანი ინტერესები საქართველოში.

P.S. აგვისტოს ერთ საღამოს სახლში მიბრუნებულს ოჯახი აღშფოთებული დამხვდა, აქაოდა შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე განაცხადა, რომ ეს პრობლემა ქართველებმა თავად უნდა მოაგვარონო. აღშფოთების მიზეზი ეს იყო: რატომ არ უბრუნებს ამერიკა საქართველოს აფხაზეთს? მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრების პოლიტიკურ მორალზე დავიწყებდი ფიქრს, ამერიკელების (და პროამერიკელებად მიჩნეული ქართველების) მიმართ ეს პრეტენზია ლამის ყოველ მეორე ქართველს რომ არ ჰქონდეს. ამიტომაც კითხვაზე (რომლის საფუძვლადმდებარე იდეოლოგია ცალკე სტატიის თემაა) – რატომ არ უბრუნებს ამერიკა საქართველოს აფხაზეთს? – სტატიის პათოსიდან გამომდინარე, კითხვებითვე ვპასუხობ: რა ვალდებულია? რატომ არ ვუსვამთ ანალოგიურ კითხვას, პირველ რიგში, საკუთარ მთავრობას?

## ნათლისმცემელი



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

### ჟირაფი

რჩეულიშვილს ჟირაფი ჰყავს სახლში. ვახტანგს, სოციალისტი რომ არის, იმას. ისე, კაცმა რომ თქვას, სამოცდაათწლიანი სისულელეების მერე გინდა სოციალისტობა მოგნდომებია და გინდა გრდემლზე დაგიდია თავი. თუმცა, რა, თავი შენია და, ბოლო-ბოლო, რასაც გინდა, იმას უზამ. მაგრამ ერთიც არის: აშკარად გადარჩენილია ამ წერილის გმირი – როგორლაც ვერ თუ არ გამოვიდა მაგისგან სოციალისტი, არ დაუჯერეს. ეტყობა, საკუთარმა, სოციალისტურისგან ცოტა განსხვავებულმა სოციალურმა მდგომარეობამ დაღუპა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჟირაფს.

სად იშოვა, როდის, რად უნდა, კაცმა არ იცის. ჰყავს, მორჩა და გათავდა. არ დავიჯერებდი, საკუთარი თვალით რომ არ მენახა. ჩვეულებრივია, ისეთი, როგორიც უნდა იყოს – მაღალი, ხალებიანი, გრძელკისრიანი. დიდი ლამაზი თვალები აქვს. მოკლედ, ნამდვილი აფრიკული.

ახლა, სანამ ეს ლამაზი ცხოველი თავისთვის დგას რჩეულიშვილების ეზოში, ცოტა ხნით ფილოლოგიურ, უფრო ზუსტად, მორფოლოგიურ საკითხებზე მინდა შევჩერდე. კარგა ხანია, სიტყვა "თავისუფლება", სიტყვა "დამოუკიდებლობასთან" ერთად, ცუდ სიტყვად იქცა. მაგრამ ბუნებაში არაფერი ხდება ცალმხრივად და, სავსებით ბუნებრივია, რომ მათი ადგილი, ესე იგი, ამ სიტყვების ადგილი სიტყვა "ინტეგრაციამ" დაიკავა. ამ საკითხებზე და, კერძოდ, ამ სიტყვასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო მოსაზრებები აქვს ჩემს ბოდბისხეველ ბიძაშვილს, რომელსაც აუცილებლად გავაცნობ მკითხველს, მაგრამ მოხდა ისე, რომ სანამ ამ მოსაზრებებმა თბილისს მოაღწია, საკითხი, ზემოხსენებული რჩეულიშვილის თაოსნობით, ფილოლოგიურიდან მათემატიკურ სიბრტყეში გადაიტანეს.

აი, ასე იშვა სამკუთხედის თეორია.

იმას, თუ რა პრაქტიკულ მიზნებს ისახავს ეს თეორია, ჩემი ბიძაშვილის ზეპირ განმარტებებთან ერთად მოგახსენებთ; მანამდე კი ერთ, ჩემი აზრით, სარწმუნო ვერსიას შემოგთავაზებთ ამ თეორიის დაბადების თაობაზე.

ცხოვრებაში როგორ არ ხდება დამთხვევები, მაგრამ არა მგონია, ნიუტონივით ვაშლის ხის ქვეშ წამოგორებულს დასცემოდეს თავში ნაყოფი და, ალბათ, არც არქიმედესავით ამომხტარა წყლით სავსე აბაზანიდან (ამ ბოლო მოსაზრებას ისიც ამაგრებს, რომ ჩვენი გმირი, როგორც ამბობენ, ძირითადად, მშრალ აბაზანებსა და აუზებს ანიჭებს უპირატესობას). უფრო საფიქრებელია, რომ როცა სახაზავითა და ფანქრით შეიარაღებული, ფიქრშეჭირვებული დასცქეროდა მსოფლიო რუკას, მეექვსე კლასის გეომეტრიის წიგნში ყველასგან მივიწყებული პითაგორას მოტეხვა გადაწყვიტა. არც აცია, არც აცხელა, დაადო სახაზავი და თბილისი ჯერ ვაშინგტონთან შეაერთა სწორი ხაზით, მერე – მოსკოვთან. ბოლოს კი გაბადრული და კმაყოფილი სახით "ვაშინგტონი-მოსკოვი" სწორი ხაზით დაასრულა სამკუთხედი.

თეორიას, ცხადია, თან ახლავს დამტკიცება ანუ დასაბუთება და რჩეულიშვილისავე ინსტრუქციაც: კარგია ამერიკასთან მეგობრობა, მაგრამ რუსეთთანაც ვიმეგობროთ. შევადაროთ და "ჰოცა" და "არაც" მერე ვთქვათო.

აი, ასე. მოკლედ და ნათლად. თუმცა, ერთი რამ მაინც გასარკვევია – რას წარმოადგენენ ეს ქვეყნები ამ სამკუთხედში, გვერდებს თუ კუთხეებს; რანაირი სამკუთხედია – ტოლგვერდა, ტოლფერდა თუ მართი. ისე, კაცმა რომ თქვას, ამას შეიძლება არც ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. როგორიც უნდა იყოს სამკუთხედი, ამ ორი ვირი სახელმწიფოს გვერდით საქართველოს რომ არც კუთხის ფუნქცია შერჩება და არც გვერდისა, ვითომ ძნელი მისახვედრია? თანაც, მეგობრობაზე თუ მეზობლობაზე კაი ტრადიციული სადღეგრძელოსავით რომ გვაბოლებ, ორასწლიანმა ისტორიამ თუ ვერ მიგახვედრა, როგორი მეზობლობაც იცის რუსმა, მაშინ მაგ ავადმყოფობას, ვახტანგ ჩემო, კარგად იცი, ჩვენში რასაც ეძახიან, თან ქრონიკულშიც გადაგზრდია და, მეეჭვება, სამაგისო წამალი იშოვებოდეს.

არა, ისე რა სწრაფად აისხა ხორცი ამ ერთი შეხედვით უწყინარმა თეორიამ?! მილებსა და მავთულებს ვაძლევთ, მეტს არაფერსო, გვამშვიდებს რჩეულიშვილი და მისი კეთილთვისებიანი პოლიტიკური ძმაკაცობა. ვის ვის და, შენ კი ნამდვილად არ გესწავლება, ჩემო ვახტანგ, კახელი კაცი ხარ და, თავიდან ცოტ-ცოტა ბოლოს რითი მთავრდება, დავიჯერო, არ იცი?

ეგეც თეორიააო, გაიმართლებ თავს. მაშინ ერთ უმნიშვნელო, პრაქტიკულ შედეგზე გეტყვი.

მას შემდეგ, რაც აიესი ჩუბაიესად იქცა, იქ უკვე დააბრუნეს ამერიკელების მიერ გაგდებული რუსი თანამშრომლები. ამ ბოლო დროს კი გახშირდა რუსული ზარებიც. აქაური რუსი თანამშრომლები ნიშნისმოგებით კითხულობენ – ახლაც არ დაგველაპარაკებით რუსულადო?

ჰა, ოპოზიციონერო და პატრიოტო შალვა ნათელაშვილო, სადა ხარ, რა საეჭვოდ გაყუჩდი, მოყარე შენი ლუმპენპროლეტარიატი, ეგენი ამერიკელები და გერმანელები არ გეგონოს, ეგრე ადვილად არ წავლენ აქედან, მიდი რა, მოუწყე აქცია!

ნეტა რაებს ვლაპარაკობ. რისი მომწყობი ხარ. პაიკი ჭადრაკის დაფაზე ყველაზე პატარა კაცია, მაგრამ ყოველთვის აქვს დიდკაცად გახდომის შანსი. შენ უშანსო პაიკობა გარგუნა ბედმა.

ჰე, ჰე, საით გარეკეო, იკითხავს მკითხველი. ჯერ ჟირაფიო, მერე რჩეულიშვილი, ახლა ნათელაშვილი. ესენი კიდევ გასაგებია, მაგრამ ჟირაფი რაღა იყოო.

არაფერიც არ იყო. ისე, მოვიგონე. თეორიისთვის. სხვათა შორის, რჩეულიშვილმა შთამაგონა. ხალხი პითაგორას ჰპარავს თეორიებს და მე რომ პარლამენტარს დავესესხო, ქვეყანა ნამდვილად არ დაინგრევა. არადა, სწორედ სიტყვა "დანგრევიდან" დაიწყო ყველაფერი.

მოკლედ, ეგრეა საქმე: ბატონი ვახტანგი თავის ყოველ გამოსვლაში, სულ ერთია, სატელევიზიო იქნება თუ საპარლამენტო, დაჟინებით იმეორებს აზრს, რომ ეს ქვეყანა (ჯერჯერობით საქართველოზეა საუბარი) სააკაშვილ-ჟვანიას დუეტმა დაანგრია.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ აი, ჩემს ქვემოთ რომ სულელი ამირანა ცხოვრობს, იმანაც კი იცის, რომ იმ კაცის გარეშე, რომელსაც ევროპის ვერც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი თუ პრემიერი ვერ გაუტოლდება უფლებებით, ზუსტად ოცდაცამეტი წელიწადია, აი, ამ კაცის დაუკითხავად ქვეყანაში არც არაფერი კეთდება და არც არაფერი ფუჭდება, მით უფრო, კინკილა სპიკერისა და თუნდაც იუსტიციის, მაგრამ მაინც ახალბედა მინისტრის სურვილით. გამოდის, რომ დღეს რჩეულიშვილი იქ არის, სადაც, რჩეულიშვილისავე აღიარებით, ქვეყნის მთავარი დამანგრეველი ზის.

აი, ამ, რჩეულიშვილისეულ ლოგიკაზე რომ ვფიქრობდი, ჯერ ლოგიკით განთქმული სამი კახელი ძმის ანეკდოტი გამახსენდა, მერე კი აფრიკული პეიზაჟი და, ბუნებრივია, ჟირაფიც. საკუთარი თეორიაც გავაშანშალე. სახელიც დავარქვი – ჟირაფული თეორია. აი, როცა არ არი და ამბობ, რო არიო. მოკლედ, ავია თუ კარგია, ჩემი აღმოჩენილია. ამიტომ, როსტომ წერეთლისა არ იყოს, შეიტანეთ ახლა სახელმძღვანელოებში და ნუ დაარქმევთ, ბატონო, ბერიაშვილის თეორიას, "ჟირაფული თეორიის" სახელით დარჩეს ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში.

ახლა კი დადგა დრო, სიტყვა "ინტეგრაციაზე" ჩემი ბიძაშვილის კომენტარები მოგასმენინოთ. ქიზიყელების ამბავი გაგონილი გექნებათ. ამიტომ წინასწარ ვიხდი ბოდიშს კუთხური გადახრებისთვის. თუმცა, ისიც მინდა ვთქვა, რომ სიტყვასიტყვით მთელი ტექსტის გამეორება ნამდვილად სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ცოტა შერბილებული, ასე ვთქვათ, გაუთოებული ტონი ვარჩიე.

თავიდათავი დებულება ჩემი ბიძაშვილის მოსაზრებებში ის არის, რომ სიტყვა "ინტეგრაცია" ქართულად ერთ ადგილას შეძრომას, ან, სხვაგვარი ინტერპრეტაციით – მით უფრო, როცა საქმე ეხება დიდსა და პატარა ქვეყანას, უფრო კი მაშინ, როცა ეს დიდი რუსეთია – ოთხზე დადგომას უნდა ნიშნავდეს. და თუნდაც იმიტომ, რომ ხალხი (თავმოყვარე ხალხს ვგულისხმობ) ეგეთ რაღაცებს მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით ვერ ხვდება, ამ საქმისთვის უცხოური სიტყვა ზედგამოჭრილი რამეაო.

...როგორც ჩანს, ბოდბისხევამდეც მიუღწევია ერეკლესა და რუსებზე როგორღაც გადაკრულ ნათქვამს. ერეკლე კი არა, ათი ერეკლე ვერ წარმოიდგენდა, ერთმორწმუნე ქვეყანა ასეთი მამაძაღლი რომ გამოდგებოდა. გაცოფებულა ჩემი ბიძაშვილი, - თანაც, ერეკლეს არც უთქვამს და არც იმაზე მოუწერია ხელი, ორი ქვეყანა ერთ ქვეყნად იქცესო. ამ რჩეულიშვილებს რაღა დაემართათ, კახელები არ იყვნენ, რუსების ჩამოთესლებიდან ორიოდე წელიწადში აჯანყება აჯანყებას რომ მიაყოლეს? არ გასწორდება მაგათი კუდი. ორი საუკუნე გავიდა და, რა უჯიშოებიც იყვნენ, ისეთებად დარჩნენ, მიხვედრით თუ ვერ მიხვდით, ოთხზე დგომა მაინც არ გეუხერხულებათო?..

მომდევნო თხუთმეტი სიტყვა, ძალიან კი დამენანა, მაგრამ მაინც გამოვტოვე.

...ეგეთი რა რუსი გადაყლაპეთ, სულ იქით გიჭირავთ თვალიო. მაინც როგორი კუთხით აპირებთ შეძრომას, მახვილით თუ ბლაგვითო...

კიდევ გამოვტოვე რამდენიმე სიტყვა.

...იმ თქვენს მთავარ დირექტორს კი მაინცდამაინც ნუ ჩამოახევთ კალთებს, სადაც უნდა, იქ წავიდეს. ერთ კაცს, როგორი გადასარევი ჭკვიანიც უნდა იყოს, მთელ ქვეყანას ხომ ვერ გაატანთო. დანარჩენებს კი, თუ დროზე არ დაანებებენ თავს ერთი ადგილის თამაშს, როგორი პოზაც არ უნდა დაიჭირონ, რუსული უკანალის მძებნელის სახელი მაინც არ ასცდებათო...

აი, ეგრე, მიუკიბავ-მოუკიბავად შემომითვალა. ეხლა, ძაანაც რომ ვამტკიცო, ტაქტიანობის ეტალონია-მეთქი, არ დამიჯერებთ, მაგრამ მართალია და მოკალათ კაცი...

■ ■ ■

მშვენივრად მესმის, რომ მსგავს წერილში სასიამოვნო და გულის გასახარი, განსაკუთრებით კი მისი ადრესატისთვის, მაინცდამაინც ბევრი არაფერია. თქმა არ უნდა, ნაწყენი დამრჩებიან ბატონი ვახტანგი და მისი თანამებრძოლები, მაგრამ იცის კი ამ ხალხმა, როგორი ნაწყენი წავიდნენ ამქვეყნიდან მამაჩემი და მისი მეგობრები? იცით კი, როგორი ნაწყენია ის ხალხი, ვისაც თქვენზე არანაკლები ნიჭი და ცოდნა აქვს და, იმის მაგივრად, ღვთის მიერ ნაბოძები ეს სიკეთე ხალხს მოახმაროს, ლუკმაპურის საშოვნელად დაწანწალებს? ეს ადამიანები დღემდე ყველაფერს იტანდნენ და, დარწმუნებული ვარ, კიდევ აიტანდნენ, მაგრამ თქვენ ეს საშუალებაც წაართვით.

იმის საშუალება წაგვართვით, კიდევ აგვეტანა ეს ძაღლური ცხოვრება.

დავიჯერო, ვერ ხვდებით, ან რატომ ვითმენდით, ან რატომ ვაპირებდით კიდევ მოთმენას?

დავიჯერო, არ იცით, რატომ ვითმენ სიცივეს, უშუქობას, უფულობას, რატომ ვითმენ დედაჩემის – ამ ქვეყნის სამსახურს გადაგებული ქალის ჩამწარებულ სიბერეს, თოთხმეტლარიან, განა მხოლოდ ცოტა, უფრო შეურაცხმყოფელ პენსიას?

კიდევ შემეძლო. ამაზე მეტიც შემეძლო, მაგრამ რა ვქნა, იქით ველარ გამოგყვებით, იქით საქართველოს დასასრულია. საკუთარი ნებით ვერ დავადგამ ფეხს ჩემი ბავშვობის ოცნებას, დღეს ცოტა შერყვნილ, მაგრამ ნამდვილი ქართველისთვის მაინც საოცრად ტკბილ სიტყვას – თავისუფლებას...

ჯობს, ისევ თქვენ გაქრეთ. ყველანი. ერთად. სამუდამოდ...

# ნინო ბურჯანაძეს საქართველოს დემოკრატიულობაში ეჭვი ეპარება

პირველი გვერდიდან

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, რომელიც 1 სექტემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელების პარლამენტში მიწვევას გულისხმობს. მომავალ იურისტთა და "პოტენციურ" პარლამენტართა "სამწყობრო დათვალიერება" წელსაც ჩატარდა: გუშინ სტუდენტებს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ უმასპინძლა.

პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში გუშინ კვორუმის პრობლემა არ დამდგარა - ყველა სავარძელი დაკავებული იყო. პირველკურსელები "როლშიც" ადვილად შევიდნენ და... მიკროფონებთან უზარმაზარი რიგი დადგა. შეკითხვების დიაპაზონი საკმაოდ ფართო იყო: ახალგაზრდებს აინტერესებდათ პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია, დაწყებული სტიპენდიებთან დაკავშირებული პრობლემებიდან და იმით დამთავრებული, მიიღებს თუ არა ბურჯანაძე მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში.

**"სტუდენტები გაცილებით უკეთ იქცევიან, ვიდრე ჩემი კოლეგები,"** - შედარებისას, მომავალი თაობის უპირატესობაში დარწმუნდა პარლამენტის სპიკერი.

შეხვედრის დროს ნინო ბურჯანაძე მაქსიმალურად ცდილობდა, თავისი ოპოზიციონერობისთვის ხაზი არ გაესვა და სურდა, დიალოგი აკადემიურ ჩარჩოებში მოექცია. თუმცა, სტუდენტებმა პარლამენტის თავმჯდომარის პოლიტიკურ დებატებში ჩათრევა რამდენჯერმე მოინდომეს და, ნაწილობრივ, მოახერხეს კიდეც - ნინო ბურჯანაძემ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

**"ახალგაზრდებში პოზიციის არარსებობა უპასუხისმგებლობის ტოლფასია. მაგრამ, ამასთან, არავის უნდა მისცეთ თქვენი პოლიტიკური შეხედულებებით მანიპულირების შესაძლებლობა. თუ ვინმეს უნდა, სტუდენტობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ჩამოაცილოს, მაშინ მან კეთილი ინებოს და ახსნას, რატომ იწყება საარჩევნო ასაკი 18 წლიდან და არა, ვთქვათ, 22-25 წლიდან?"** - აცხადებს ბურჯანაძე, როდესაც მანიფესტაციებში, პოლიტიკურ აქციებში და სხვა სახის ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობის საკითხს ეხება საუბარი.



მათ ნინო ბურჯანაძე განათლების პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა, მაგრამ - არა უცებ და არა რადიკალურად.

სტუდენტებმა ქვეყნის მმართველობის ფორმის გარშემოც "მოახერხეს" სპიკერთან პოლემიკის გამართვა. ამ საკითხში საკანონმდებლო ხელისუფლების მეთაურის თვალთახედვა ასეთია: **"საქართველო ჯერ მზად არ არის საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადასასვლელად. მინიმუმ, 5-10 წლის განმავლობაში, ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა ძლიერი მინისტრთა კაბინეტის შემოღება."**

რაც შეეხება კარსმომდგარ საპარლამენტო არჩევნებში ბლოკის - "ბურჯანაძე-დემოკრატები" - საბოლოო შემადგენლობას, ბურჯანაძე ამ ბლოკის კიდევ უფრო გაფართოებას არ გამორიცხავს და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მას გუშინ რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასთან ჰქონდა კონსულტაციები. თუმცა, ამ პარტიების დაკონკრეტებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

სტუდენტებთან სამახსოვრო ფოტოების გადაღებისა და მათთვის ავტოგრაფების დარიგების შემდეგ, გუშინ ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის შენობიდან მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გადაინაცვლა, სადაც მასწავლებელთა პროფკავშირულ აქტივს შეხვდა.

პარლამენტის თავმჯდომარე ამჯერად უკვე მეტი "გაბედულებით მოქმედებდა" და უფრო თავისუფლად უნაცვლებდა ერთმანეთს პოლიტიკურ და სოციალურ თემატიკას.

**"ვამზადებთ სერიოზულ პროგრამას განათლების სფეროში, რომელიც საფუძვლიანად შეცვლის დარგში არსებულ მდგომარეობას. ეტაპობრივად დავფარავთ პედაგოგების სახელფასო დავალიანებას და გავზრდით ხელფასებს. თუმცა, ვერ შეგპირდებით, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ყველაფერს უცებ და რადიკალურად გამოვასწორებთ,"** - აცხადებს ბურჯანაძე.

პედაგოგებთან შეხვედრის დროს პარლამენტის სპიკერი გულისტკივილით საუბრობდა იმ არანორმალურ ვითარებაზეც, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას შეიქმნა. **"ხობის რაიონის გამგებლის მოადგილემ რკინა ჩაარტყა თავში ადამიანს, რომელიც ქუჩაში ჩვენი ბლოკის საარჩევნო პლაკატს აკრავდა. ამ ადამიანს 17 ნაკერი დაადეს, ხულიგანი მოხელე კი არავის დაუსჯია,"** - აღნიშნავს პარლამენტის სპიკერი, რომელსაც უკვე გულწრფელად ეპარება ეჭვი იმაში, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრობს.

# პოლიტიკური, მაგრამ მაინც პირველი სექტემბერი

პირველი გვერდიდან

მერაბ სამადაშვილის ინიციატივით, ნაძალადევის რაიონის სკოლებისთვის ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში კონცერტიც გაიმართა.

ძლვენით ხელდამშვენებული ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები თბილისის ყველა სკოლას ესტუმრნენ - სკოლებში "თავისი" რვეულები მიიტანეს და შეამოწმეს, ვინმე ხომ არ დარჩა სახელმძღვანელოს გარეშე.

"ეს ხომ რვეულია და მოსწავლეს სჭირდება, მშობლისთვისაც შეღავათია," - ასე გამოხატეს თავისი აპოლიტიკურ-უტილიტარული დამოკიდებულება სკოლის დირექტორებმა, საჩუქარი მიიღეს და რვეულების სარეკლამო კამპანიაში გამოყენების ეჭვი არ გაიზიარეს.

მე-11 სკოლაში კი რვეულები არ გააჭაჭანეს, თუმცა გაწბილებული "ნაციონალები" ქუჩაში მაინც არიგებდნენ საჩუქრებს.

ქართული ენის სახელმძღვანელოები და რვეულები არაქართულმა სკოლებმაც მიიღეს.

მართალია, საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქის ყველა პირველკლასელისთვის უნდა ყოფილიყო სახელმძღვანელო, მაგრამ 22-ე სკოლაში კერძო სექტორის პირველკლასელებს საჩუქარი არ მიუღიათ.

პირველი სექტემბერი მაინც პირველი სექტემბერია: "სკოლა კი მომენატრა, მაგრამ მერე სწავლა მეზარება ხოლმე," - გულწრფელად თქვა მეშვიდეკლასელმა ბიჭმა.

მოსწავლეებს, ისე როგორც ადრე, თეთრი პერანგები კი ეცვათ, მაგრამ უფროსკლასელის ხელში ჩანთა იშვიათობა იყო. მათ უმეტესობას სახელმძღვანელოები არა აქვთ, ჩანთაში კი, ჩვეულებრივ, წიგნებს და რვეულებს აწყობენ.

გუშინ თბილისის სკოლების დიდ ნაწილში ძველებური, მამაპაპური ზარი დაირეკა - ქალაქში დენი არ იყო.

# გასვლითი გაკვეთილები ვეზუვზე

*დაახლოებით ასეთ რამეს ჰპირდება ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ქართველ მოსწავლეებს. ისტორიის გაკვეთილებს ისტორიულ ადგილებზე ჩვენი ახალგაზრდები, სავარაუდოდ, მაშინ მიიღებენ, როცა შრომის პარტია განათლების საკუთარ პროგრამას დაამტკიცებს. მასში, როგორც შალვა ნათელაშვილი აცხადებს, ოლიგარქების გარდა ყველა ქართველის შვილისთვისაა გათვალისწინებული უფასო სახელმძღვანელო, ყველა სკოლისთვის – კომპიუტერები, ინვენტარი და საფუძვლიანი რემონტი, ყველა მხცოვანი პედაგოგისთვის - ღირსეული პენსია... ამ "საგანმანათლებლო სამოთხემდე" ჯერ დროა. პირველი ლეიბორისტი ჯერ იმ "შეგნებულ საგანმანათლებლო გენოციდზე" საუბრობს, რომელიც ხელისუფლებამ მოგვიწყო.*

მაკა ჭაიანი

1998 წელი, ანუ ამ გენოციდის დასაწყისი, შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რამდენჯერმე ახსენა. პირველად მაშინ, როცა მთელ ქვეყანას საქართველოს უახლეს ისტორიაში "უნიკალური დღე" – 2003 წლის 1 სექტემბერი მიულოცა. უნიკალურობა ამ დღემ იმით შეიძინა, რომ ლეიბორისტების მიერ 1998 წელს დაწყებული ბრძოლის შედეგად სწავლა საშუალო სკოლების მესამე საფეხურზე (მე-10, მე-11 კლასები) უფასო გახდა. **"ეს ჩვენი და ყველა ქართველის დიდი გამარჯვებაა!** – ამბობს შრომის პარტიის ლიდერი, - **ლეიბორისტულმა პარტიამ მაშინ დაიწყო ბრძოლა განათლებისთვის, როცა ამ სფეროს დიდი გაჭირვება დაუდგა. ერთადერთი, რამაც შეიძლება გადაგვარჩინოს, სწორედ განათლება და ინტელექტია."**

შალვა ნათელაშვილი, რომელიც ამაყად აცხადებს, ჩვენმა პარტიამ 40 ათასი მასწავლებელი გათავისუფლებას, სკოლები – მათში კაზინოებისა და საროსკიპოების გახსნას, საქართველო კი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების ხელახლა ჩამოყალიბებას გადაარჩინაო, ერთგვარად, პედაგოგიკის თეორიაშიც იჭრება. **"სულაც არ არის აუცილებელი, ყველა ხუთოსანი იყოს,** - განმარტავს იგი, - **ბუნინი, აკადემიური მოსწრების გამო, გიმნაზიის მეხუთე კლასიდან გარიცხეს, მაგრამ ნობელის ლაურეატი გახდა."** ამ ლოგიკაში ვერ ჯდება, მაგრამ, თუ ჩვენი ბავშვები, ბატონი შალვას თქმისა არ იყოს, საკლასო ოთახების გარღვეული ჭერიდან მართლაც ცას უყურებენ, შეიძლება, ნობელიანტი მწერალი თუ არა, ასტრონომი მაინც გამოგვივიდეს ვინმე.

რაც უნდა იყოს, გუშინდელი დღით ლეიბორისტები ძალიან კმაყოფილები არიან. **"ხუთი წელი მოვანდომეთ უფასო სწავლისთვის ბრძოლას, ამდენ ხანს გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომი, მეტი კი არა,** - ხუმრობს ნათელაშვილი, - **ეს იყო ქვეყნის ნათელი მომავლისთვის ბრძოლის ჩვენი პირველი ხუთწლედი. რაც შეეხება მეორე ხუთწლედს, იგი გულისხმობს იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც განათლების სისტემას ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს."** ეს ის პროგრამაა, ვეზუვზე სასაუბროდ მოსწავლეები ვეზუვზე რომ უნდა შეკრიბოს. ასეთი რამ, ავსტრალიელი მოსწავლეების "შესრულებით", ნომერ პირველ ლეიბორისტს იტალიაში მოგზაურობისას უნახავს და, როგორც ხედავთ, ძალიანაც მოსწონებია.



ნათელაშვილს ერთობ მოსწონებია ავსტრალიელი მოსწავლეები ვეზუვზე და საგანმანათლებლო რეფორმით საქართველოში ამის დანერგვას აპირებს.

# სკოლა ბრალდებას უარყოფს

საკრებულოს თავმჯდომარის აპარატის უფროსის, ნაციონალური მოძრაობის წევრის, გიორგი არველაძის განცხადებას, 108-ე სკოლაში პირველკლასელებს სახელმძღვანელოების მისაღებად 8-8 ლარს ართმევენო, ამ სკოლის მოსწავლეთა მშობლები, კოლექტივი და დირექცია გამოეხმაურა. მშობლების განცხადებით, მათგან წიგნებისთვის ფული არავის მოუთხოვია. გაკვირვებულები არიან მასწავლებლებიც. თავის მხრივ, ნაციონალური მოძრაობის ისან-სამგორის რაიონის წარმომადგენელი (108-ე სკოლა ვარკეთილში მდებარეობს) ნოდარ გოცირიძე ამბობს, რომ არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს ამ სკოლაში პირველკლასელებს ფული სახელმძღვანელოების შესაძენად გამოართვეს. 108-ე სკოლის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს მისი დირექტორი თემურ ბერუჩაშვილი ასე განმარტავს: **"8 ლარი – ეს არის სემესტრული გადასახადი ყველა მოსწავლისთვის. ამ თანხას - თვეში 2 ლარს - შემოწირულობის სახით იხდის ყველა, გარდა დევნილებისა, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედებისა. ამ თანხაზეა საუბარი. უკვე ნაყიდი წიგნებისთვის მშობლებს ფულს არავინ გამოართმევს. პირიქით, სასკოლო ფონდიდან ობოლი ბავშვებისთვის სახელმძღვანელოებს ჩვენ თავად ვყიდულობთ."**

24 საათი

## მოკლე სიტყვა ყველაზე აპოლიტიკური აუდიტორიისთვის

**"თქვენ, ჯერ, ალბათ, ვერ ხვდებით, თუ რა მშვენიერ პიროვნებას, უჭკვიანეს პოლიტიკოსს ხედავთ დღეს. გავა დრო და, ალბათ, ამ დღეს სხვანაირად გაიხსენებთ,"** - ამ სიტყვებით მიმართავდა 53-ე სკოლის სააქტო დარბაზში შეკრებილ პირველკლასელებს სასწავლო ნაწილის გამგე ია შალამბერიძე. ბავშვებს, ალბათ, მართლაც ბევრი არაფერი ესმოდათ არც დიდი პოლიტიკისა, არც იმისა, რომ მათ წინაშე იდგა ქვეყნის მეორე პირი - პარლამენტის თავმჯდომარე. მიუხედავად ამისა, სცენაზე გამოსულ უფროსებს ისინი გაფაციცებით მისჩერებოდნენ და ყურადღებით უსმენდნენ.

ნინო ბურჯანაძეს, როგორც თავად ამბობს, პირველკლასელობის ბედნიერება, თავისი შვილების გამო კიდევ ორჯერ ეღირსა. თუმცა, მისი უმცროსი შვილი რეზიკო უკვე კარგა ხანია, პირველ კლასს გასცდა და ახლა 53-ე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელია. პარლამენტის თავმჯდომარემ, მართალია, ესკორტით და დაცვით, მაგრამ მაინც, წელსაც ჩვეულებრივი მშობელივით წაიყვანა თავისი ვაჟი სკოლაში და კლასის დამრიგებელს ჩააბარა, რომელთანაც შემდეგ კარგა ხანს ისაუბრა კიდეც. სკოლის დირექტორი პარლამენტის თავმჯდომარეს გუშინ არ დახვედრია, მაგრამ პირველკლასელებისათვის პარლამენტის თავმჯდომარის მიერ სასწავლო გზის დალოცვა აქ უკვე ტრადიციად იქცა. ბურჯანაძეს ამ ყველაზე აპოლიტიკური აუდიტორიისთვის ყველაზე მოკლე და ტკბილი სიტყვები ჰქონდა "მომზადებული": **"მჯერა, რომ თქვენი თაობა უფრო ბედნიერ, გაბრწყინებულ საქართველოში იცხოვრებს. სიკეთეს და ბედნიერებას გისურვებთ".**

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ურეკის "იმედის" ქალაქის მშენებლობის შემდეგ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტად ბაკურიანის მშენებლობის პროექტს მიიჩნევს, რომელსაც ქართველი ბიზნესმენები ახორციელებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის ურბანიზაციისა და მშენებლობის სამმართველოს უფროსი ლადო ხმალაძე ქვემო ქართლში რეკლამების განთავსების მოწესრიგებას, შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენას, საგადასახადო რეესტრში მათ შეტანას და ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების ამოღებას ითხოვს. მისი განცხადებით, ეს სისტემა რეგიონში მოუწესრიგებელია, რის გამოც ბიუჯეტი მილიონობით ლარს კარგავს. „ამაზე რეაგირება „არქმშენინსპექციამ" უნდა მოახდინოს. რეკლამის უნებართვოდ განთავსების შემთხვევაში განმთავსებელმა ან ჯარიმა უნდა გადაიხადოს, ან საკუთარი ხარჯებით მოხსნას იგი," – აცხადებს ხმალაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ყვარელი.** დღეს ყვარლის რაიონის 500-მდე პირველკლასელმა ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდისგან საჩუქრად მიიღო სასკოლო ჩანთებში ჩალაგებული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების სრული კომპლექტი. ეს არის გაგრძელება პროექტისა, რომელიც ორი წელია, რაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხორციელდება. როგორც ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, ფონდი უახლოეს ხანებში ყვარელსა და ქუთაისში წარმომადგენლობებს გახსნის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ძალაში შევიდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმად, სავაჭრო ქსელში არსებულ ყველა იმპორტირებულ პროდუქციას ქართულენოვანი წარწერა უნდა ჰქონდეს. როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა არმაზ თავაძემ განაცხადა, სამსახურის თანამშრომლები „საქსტანდარტის" დახმარებით ხვალიდან სავაჭრო ქსელში არსებული პროდუქციის მონიტორინგს იწყებენ. თუ პროდუქციას ქართულენოვანი წარწერა არ ექნება, მისი შემომტანი 300-500 ლარით დაჯარიმდება. დარღვევის განმეორებით გამოვლენის შემთხვევაში ჯარიმა გაიზრდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის კოორდინატორი აფრთხილებს "თბილწყალკანალს", რომ თუ ტენდერში გამარჯვებული კომპანია დროულად არ გამოვლინდება, ბანკმა, შესაძლოა, "თბილწყალკანალს" ქსელის სარეაბილიტაციო თანხა არ გამოუყოს. საკრებულოს გადაწყვეტილებით, საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე "თბილწყალკანალის" ტენდერის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებაზე მორატორიუმია გამოცხადებული. 3 სექტემბერს კი სატენდერო კომისია კიდევ ერთხელ შეიკრიბება და წინადადებებს შეაჯერებს. "თბილწყალკანალმა" საწარმოში ათი წლის ვადით კერძო ოპერატორის შემოსასვლელად ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში მონაწილე 5 კომპანიიდან ტექნიკური წინადადებების პაკეტი ფრანგულ კომპანია "ჯენერალ დეზ'ოს" ერგო. ფინანსური წინადადებების პაკეტიც მხოლოდ აღნიშნულ კომპანიას აქვს წარმოდგენილი, თუცმა, ჯერჯერობით, გამარჯვებული ოფიციალურად დასახელებული არ არის. **ინტერ-პრესი**

# ეუთო-მ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის მონიტორინგი აღადგინა

"რადიო თავისუფლება" სომხეთის მთავრობის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, რომ ეუთო-მ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის რეგულარული მონიტორინგი აღადგინა მას შემდეგ, რაც ორი კვირის წინ, სასაზღვრო ზონაში ატეხილი სროლის გამო საერთაშორისო დამკვირვებლებმა რეგიონი დატოვეს.

სომხეთის საგარეო და თავდაცვის მინისტრებმა ცალ-ცალკე განაცხადეს, რომ პოლონელი დიპლომატის ანდრეს კასპრჟიკის მეთაურობით ეუთო-ს დელეგაციამ გასულ ხუთშაბათს სომხეთის სასაზღვრო თავუშის რეგიონი და დასავლეთ აზერბაიჯანის ყაზახის რაიონი მოინახულა.

"კასპრჟიკმა ორივე მხარის მიმართ კმაყოფილება გამოთქვა, რადგან ეუთო-ს მონიტორინგის ჩატარების საშუალება მიეცა," - ნათქვამია სომხეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

ეუთო-ს მისიამ საზღვრისპირა რაიონებში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მომხდარი შეტაკებების გამოძიება მოითხოვა. ერევანიცა და ბაქოც ვითარების დაძაბვას ერთმანეთს აბრალებენ.

"შეუძლებელი იყო იმის დადგენა, საიდან მომდინარეობდა სროლა, სომხეთის თუ აზერბაიჯანის მხრიდან," - განაცხადა ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა.

სომხეთის ხელისუფლების განცხადებით, საზღვარზე მონიტორინგის დროს მათ აზერბაიჯანულ მხარეს 78 ცხვარი და 12 ძროხა დაუბრუნეს. აზერბაიჯანული წყაროების ცნობით, საქონელი სომხებმა მოიპარეს. საგარეო საქმეთა სამინისტრო ერევანში ამტკიცებს, რომ "საქონელი განზრახ გადმოუშვეს სომხეთის ტერიტორიაზე".

მართალია, თავუში და ყაზახის რაიონები ყარაბაღიდან მნიშვნელოვნად არიან დაცილებული, მაგრამ სასაზღვრო ზონას წარმოადგენენ, სადაც მიწა დანაღმულია და დროდადრო ატეხილი სროლების შედეგად ორივე მხარეს ხალხი იღუპება.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო პროცესს ეუთო-ს მინსკის ჯგუფი წარმართავს. ჯგუფის ეგიდით სამმხრივი შეხვედრები გასულ წელს შეწყდა მანამ, სანამ სომხეთსა და აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები არ დასრულდება. სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები უკვე გაიმართა. საერთაშორისო თანამეგობრობა იმედოვნებს, რომ აზერბაიჯანში 15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოკონფლიქტე მხარეებს შორის კონკრეტული შეთანხმებების მიღწევა შესაძლებელი გახდება.

# მარიხუანას ჰოლანდიაში მედიკამენტის ფუნქცია მიენიჭა

პირველი სექტემბრიდან ჰოლანდიელმა ექიმებმა პაციენტებისათვის მედიკამენტის სახით მარიხუანას გამოწერის უფლება მიიღეს.

როგორც ცნობილია, ნიდერლანდებში მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება ნებადართულია. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მარიხუანას მოხმარების საკითხებში შექმნილმა სამთავრობო კომისიამ პაციენტებისათვის სამკურნალო მიზნებით ამ ნარკოტიკის გამოყენების შესაძლებლობა დაამუშავა. სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, ჰოლანდიის მაგალითს, შესაძლოა, სხვა ქვეყნებმაც მიბაძონ. კერძოდ, მარიხუანას სამედიცინო მიზნებისთვის გამოყენების კვლევა მიმდინარეობს დიდ ბრიტანეთში, კანადაში, შვეიცარიასა და აშშ-ში.

როგორც გაირკვა, მარიხუანა, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება სიმსივნის, შიდსის და სხვა მძიმე დაავადებების დროს.

ნარკოტიკების შესახებ გაერო-ს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, ჰოლანდიაში მარიხუანას მოყვანის და პაციენტებისათვის მიყიდვის საკითხებს სწორედ სპეციალური სამთავრობო ბიურო დაარეგულირებს.

მარიხუანას მიწოდების საკითხზე ბიურომ უკვე გააფორმა კონტრაქტები ორ კომპანიასთან. ნიდერლანდებში მარიხუანას ხუთგრამიან პაკეტებს მხოლოდ რეცეპტის საფუძველზე გაყიდიან და ერთი შეკვრის ღირებულება 50 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი იქნება.

ა.წ. მარტში მთავრობამ ექიმებს პაციენტებისათვის ოპიუმის გამოყენების ნება მისცა. ამჟერად, ჰოლანდიის აფთიაქებში, ოპიუმის გვერდით მარიხუანაც გაიყიდება.

# ავღანეთში ბრძოლები გრძელდება

ავღანეთში კოალიციის ძალებსა და თალიბ მებრძოლებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკებები კვლავ გრძელდება. გუშინ ავღანეთში აშშ-ს სამხედრო ძალების სარდლობამ მასმედიას ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში კიდევ ერთი მასშტაბური ბრძოლის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. პაკისტანის საზღვართან მდებარე პროვინცია პაკტიკაში ამერიკელ ჯარისკაცებს მოულოდნელად დაესხნენ თავს თალიბი მებრძოლები. ბრძოლამ ნახევარ საათზე მეტხანს გასტანა, რის შედეგადაც ორი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, ხოლო ერთი დაიჭრა. ამერიკელთა სარდლობის განცხადებით, თალიბთა მხრიდან ოთხი თავდამსხმელი დაიღუპა.



ავღანეთში ბრძოლები არ წყდება.

კოალიციის სარდლობამ ვერ შეძლო, თავდამსხმელთა ვინაობა დაეკონკრეტებინა, თუმცა ამის გარეშეც ცხადია, რომ წინააღმდეგობის გაწევას კვლავ თალიბთა და "ალ-ქაიდას" ძალები განაგრძობენ და პერმანენტულად ახორციელებენ თავდასხმებს ამერიკელ სამხედროებზე. გარდა ამისა, ავღანეთში მესამე დაჯგუფებაც არსებობს. ისინი ავღანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის გულბედინ ჰიკმატიარის გარშემო არიან გაერთიანებულნი და თალიბებზე არანაკლებ წინააღმდეგობას უწევენ ამერიკელებს.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში ავღანეთში ვითარება საგრძნობლად დაიძაბა. დამკვირვებლები და სამხედრო ექსპერტები ამას ქვეყანაში თალიბთა მომხრეების აქტივიზაციას უკავშირებენ. როგორც ჩანს, თალიბებმა და "ალ-ქაიდას" ძალებმა გადაჯგუფება და რეორგანიზება მოახერხეს და პარტიზანული ომის აქტიურ გაჩაღებას აპირებენ. რამდენიმე თვიანი შესვენების შემდეგ, მათსა და კოალიციის ძალებს შორის გასულ კვირას პირველი დიდი შეტაკება მოხდა. ბრძოლა რამდენიმე საათს გრძელდებოდა.

თალიბები, ძირითადად, ავღანეთ-პაკისტანის საზღვართან არიან კონცენტრირებულნი და პარტიზანულ შეტევებს მიუდგომელი მთიანი რაიონებიდან ახორციელებენ. კოალიციის სარდლობის განცხადებით, თალიბთა ძალების დისლოკაცია შეიმჩნევა სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინცია ზაბულშიც.

აშშ-ს სარდლობის თქმით, უკვე შვიდი დღეა, რაც ამერიკელმა და ავღანეთის სამთავრობო ძალებმა თალიბთა განლაგების ადგილების მოძებნის და ლიკვიდაციის მიზნით, დიდი ოპერაცია დაიწყეს. როგორც იუწყებიან, ამ ხნის მანძილზე უკვე 90 თალიბი მებრძოლია განადგურებული. რაც შეეხება ამერიკელთა მხრიდან დანაკარგებს, ეს მონაცემები მკაცრად გასაიდუმლოებულია.

# ჩეჩნეთში ისლამური ექსტრემიზმი ვრცელდება

ჩეჩნეთის საკითხებში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ჟურნალისტის ანდრეი ბაბიცკის აზრით, ისლამური ექსტრემიზმი ჩეჩენ მებრძოლთა შორის აქტიურად ვრცელდება. "რადიო თავისუფლების" ჟურნალისტი ამ დასკვნამდე ცოტა ხნის წინ ჩეჩნეთში ყოფნის შემდეგ მივიდა. ბაბიცკიმ ხუთი დღე დაჰყო მეამბოხეებთან, რომლებიც, მისი თქმით, საკუთარ ძალებში დარწმუნებულები და გაცილებით უკეთ აღჭურვილები არიან, ვიდრე ორი წლის წინ, როდესაც ჟურნალისტი უკანასკნელად იმყოფებოდა რესპუბლიკაში.

ბაბიცკი მებრძოლების სამხედრო აღჭურვილობის ხარისხით განცვიფრებული დარჩა. ჟურნალისტის თქმით, იმ მებრძოლებს, რომელთაც პირადად შეხვდა, ნატო-ს სტანდარტების წყალგაუმტარი სამხედრო ტანსაცმელი და მაყუჩიანი, დამიზნების ულტრათანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი იარაღი ჰქონდათ.

ბაბიცკის მტკიცებით, მან სხვა წყაროებითაც გადაამოწმა, რომ მებრძოლები თავიანთ შეიარაღებას რუსი სამხედროებისაგან იღებენ. ერთ-ერთი ჩეჩენი ამბოხებულის თქმით, იარაღით ვაჭრობა ჩეჩენი ახალგაზრდების შუამავლობით ხორციელდება, რომლებიც ამისთვის გასამრჯელოს იღებენ. "ახალგაზრდები ჯარისკაცებს კარგად იცნობენ. ორი-სამი ბოთლი არყის ჩუქების შემდეგ რუსი სამხედროები მათ აღჭურვილობის მიყიდვაზე თანხმდებიან. ეს ბავშვები 200 რუბლად ამ იარაღს ჩვენზე ყიდიან. კარგად ვიცი, რომ ისინი ამ იარაღს გაცილებით იაფად ყიდულობენ".

ბაბიცკის აზრით, მეამბოხეთა ორ თაობას შორის დაპირისპირება უკვე აშკარაა. ახალი თაობა უფრო რელიგიურია და მილიტარისტულად განწყობილი. რუს ჟურნალისტთან საუბრისას ერთმა ხანშიშესულმა მებრძოლმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდები უფრო მოწადინებულები არიან, ბრძოლის რადიკალური მეთოდები გამოიყენონ, მაგალითად, თვითმკვლელობები და ამით პალესტინელებს მიბაძონ. "მე ზუსტად არ ვიცი, ვინ ავრცელებს ამ მოსაზრებას, მაგრამ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ არაბები 50 წელი თავს იფეთქებდნენ, რის შედეგად "საგზაო რუკა" მიიღეს. პირადად მე ეს მისაღებად არ მიამაჩნია," - აღნიშნა მან.

ბაბიცკის თქმით, რადიკალური რელიგიური შეხედულებების გამო, ჩეჩნეთში ვითარება კიდევ უფრო გართულებულია. "მართალია, სიტყვა ვაჰაბიზმი აქ არ უყვართ, მაგრამ ფაქტია, რომ ცხოვრების ყველა სფერო აქ ამ იდეოლოგიით არის გაჟღენთილი," - ამტკიცებს ანდრეი ბაბიცკი.

# საფრანგეთის ელჩმა ისრაელს შეურაცხყოფა მიაყენა

ბრიტანულ გავლენიან გაზეთში "დეილი ტელეგრაფში" გუშინ გამოქვეყნებულმა მასალამ, შესაძლოა, საფრანგეთისა და ისრაელის ურთიერთობაში გარკვეული დისონანსი შეიტანოს. გაზეთის ინფორმაციით, საფრანგეთის ელჩმა ჟერარ არომ ისრაელში თავის კოლეგებთან კერძო საუბარში ისრაელის პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს "სოფლელი", ხოლო ებრაელებს "პარანოიკები" უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი თანამშრომლის ასეთი საქციელი კატეგორიულად უარყო და ამ ცნობას ცილისწამება უწოდა, საქმე, შესაძლოა, სკანდალამდეც კი მივიდეს.

**"ასეთი განწყობები ფრანგულ დიპლომატიურ კორპუსში ფართოდაა გავრცელებული. საკმარისია, გავიხსენოთ ლონდონში საფრანგეთის ყოფილი ელჩის დანიელ ბერნარტის გამონათქვამი. მან ისრაელს "განავლის პატარა ქვეყანა უწოდა,"** - აღნიშნავს "დეილი ტელეგრაფი." გაზეთის თქმით, თავად ის ფაქტი, რომ საფრანგეთმა ჟერარ არო ყველაზე პრო-ისრაელურ ჩინოვნიკად ჩათვალა, ცხადად მიუთითებს, თუ რა ღრმად არის გამჯდარი ფრანგულ პოლიტიკურ წრეებში ისრაელისადმი ამგვარი დამოკიდებულება. რითი შეიძლება ამის ახსნა? "დეილი ტელეგრაფი" ისრაელისადმი ამგვარი დამოკიდებულების რამდენიმე ახსნას გვთავაზობს. სტატიის ავტორის აზრით, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიოში მრავალი არაბული სახელმწიფოა, ხოლო ებრაული ქვეყანა კი მხოლოდ ერთია. მეორეს მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საფრანგეთში მუსულმანური მოსახლეობის დიდი რაოდენობა. **"ამდენად, ძნელი წარმოსადგენია, რომ საფრანგეთის ელჩს, მაგალითისათვის - დამასკოში, ანალოგიური ფრაზა ეთქვა ბაშარ ასადის შესახებ, რომელიც ტოტალიტარული სახელმწიფოს პრეზიდენტია,"** - აღნიშნავს "დეილი ტელეგრაფი."

# ჩინეთის არმიის შემცირება დაიწყო

გუშინ ჩინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ძიან ძემინმა, რომელიც ამჟამად ცენტრალურ სამხედრო კომისიას ხელმძღვანელობს, განაცხადა, რომ მსოფლიოს უდიდესი არმიის რიგები 200 000 კაცით შემცირდება. ცენტრალური კომისიის მიერ შედგენილი გეგმის თანახმად, უახლოეს წლებში ჩინეთის არმია 500 000 კაცით უნდა შემცირდეს. ძიან ძემინის თქმით, შემცირება სახალხო გამათავისუფლებელი არმიის "მოდერნიზების დასაჩქარებლად" არის აუცილებელი.

"ომის წარმოების ფორმა მექანიზებულიდან საინფორმაციოსაკენ შეიცვალა," - აღნიშნა ძიანმა ეროვნული თავდაცვის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაზე.

"კადრების შემცირება საშუალებას მოგვცემს, შეზღუდული სტრატეგიული რესურსების აკუმულირება მოვახდინოთ და სამხედრო-საინფორმაციო საშუალებების გაძლიერება დავაჩქაროთ."

ჩინური საინფორმაციო სააგენტო "სინხუას" ცნობით, 2005 წლამდე შეიარაღებული ძალებიდან კიდევ 200 000 კაცს დაითხოვენ. ჩინეთის არმია დღემდე 2.5 მილიონ კაცს ითვლის.

დასავლელი სამხედრო ანალიტიკოსების აზრით, შემცირებების მიუხედავად, სახალხო გამათავისუფლებელ არმიას მაინც ექნება იმის საშუალება, რომ ტაივანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია განახორციელოს. ჩინეთი ტაივანს ურჩ პროვინციად მიიჩნევს, რომლის დაბრუნება პეკინის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.



ჩინელი ჯარისკაცების რაოდენობა მცირდება.

"ყველაფერი მაინც ტაივანზეა ფოკუსირებული," - განაცხადა "როიტერთან" საუბარში ერთ-ერთმა დასავლელმა დიპლომატმა.

ამერიკის არმიის ელვისებურმა გამარჯვებამ ერაყში ჩინეთის მმართველ წრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და კიდევ ერთხელ დაანახა ის უფსკრული, რაც ჩინეთის არმიასა და პეკინის პოტენციური მეტოქის - ამერიკის შესაძლებლობებს შორის არსებობს.

დასავლელი სამხედრო ანალიტიკოსების შეფასებებით ამჟამად ჩინეთის არმიის შემადგენლობაში 1.7 მილიონი კაცი ირიცხება, საზღვაო ძალებში – 220 000, ხოლო საჰაერო ძალებში - 420 000. 100 000-ზე მეტი სამხედრო კი მეორე საარტილერიო კორპუსში მსახურობს, რომელიც ბირთვულ რაკეტებზე აგებს პასუხს.

ჩინელი ანალიტიკოსების თქმით, ძიან ძემინმა ეს განცხადებები ხუნანის პროვინციაში ყოფნისას სპეციალურად გააკეთა. ხუნანი მაო ძედუნის სამშობლოა და მას სიმბოლური დატვირთვა აქვს. ძიანმა ჩინეთის ახალ ხელმძღვანელობას მიანიშნა, რომ იგია ქვეყნის მთავარსარდალი და მის გარეშე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელი იქნება.

ძიანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის პოსტიდან გასული წლის ნოემბერში გადადგა, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობა მარტში დატოვა და ხუ ძინთაოს გადაულოცა.

მიმომხილველების აზრით არმიიდან დათხოვნილთა უმრავლესობა უმუშევარი არ დარჩება. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, არმიიდან დათხოვნილ პირებს სახალხო საპოლიციო არმიაში აწევრიანებენ, რომლებიც სამთავრობო დაწესებულებებსა და საელჩოებს იცავენ.

# მოამარ კადაფი: ჩვენ ახალ ერაში შევაბიჯეთ

გუშინ ლიბიის ლიდერმა, პოლკოვნიკმა მოამარ კადაფიმ თავის ერს მიმართა. მისი თქმით, ლიბიამ მიაღწია შეთანხმებას დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისათვის ფულადი კომპენსაციის გადახდის თაობაზე, რის შემდეგაც ცნობილი ავიაკატასტროფების საქმეები დაიხურება. როგორც ცნობილია, რამდენიმე კვირის წინ კადაფის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა, რომ შოტლანდიის ქალაქ ლოკერბიში მომხდარი ავიაკატასტროფა და 1989 წელს ნიგერიაში საფრანგეთის სამგზავრო თვითმფრინავის დაღუპვა ლიბიის სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული.

ერისადმი მიმართვაში, რომელიც 1969 წელს ლიბიაში მომხდარი სამხედრო გადატრიალების 34-ე წლისთავს მიეძღვნა, კადაფიმ განაცხადა, რომ ორივე ავიაინციდენტი უკვე ისტორიას ჩაბარდა და ამიერიდან ლიბია დასავლეთთან ურთიერთობის ახალ ერას იწყებს.

აგვისტოში ლიბია დათანხმდა, 1988 წელს ლოკერბიში მომხდარი ავიაკატასტროფის მსხვერპლთა ოჯახებს კომპენსაციის სახით 2 მილიარდ 700 მილიონი ამერიკული დოლარი გადაუხადოს. საპასუხოდ, დიდი ბრიტანეთი ლიბიაზე გაერო-ს მიერ დაწესებული სანქციების მოხსნის ინიციატივით გამოვიდა.

ამასთან დაკავშირებით აღშფოთება გამოთქვა ოფიციალურმა პარიზმა, რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია. საფრანგეთი დაიმუქრა, რომ ლიბიისათვის სანქციების მოხსნის თაობაზე გაერო-ს რეზოლუციას ვეტოს დაადებდა, თუკი მოამარ კადაფის მთავრობა ნიგერიაში 1989 წელს დაღუპული თვითმფრინავის მსხვერპლთა ოჯახებისათვის ფულადი კომპენსაციის თანხებს არ გაზრდიდა. როგორც ცნობილია, ამ ტრაგედიის უკანაც ლიბიის ხელისუფლება და სპეცსამსახურები იდგნენ.

საფრანგეთის ამგვარ რეაქციას კადაფის ხელისუფლებამ თავდაპირველად საერთაშორისო შანტაჟი უწოდა. თუმცა, ლიბიის მთავრობა მალევე მიხვდა, რომ ასეთი განცხადებებით დასავლეთთან ურთიერთობების გამოსწორებას ვერ მიაღწევდა. საბოლოოდ, ლიბიამ დაღუპული ფრანგული თვითმფრინავის მსხვერპლთა ოჯახებისათვის კომპენსაციის თანხების გაზრდაზე თანხმობა განაცხადა.

**"ჭირსაც წაუღია ფული! რაში გვჭირდება ფული? ფულის დახმარებით ჩვენ, უბრალოდ, ჩვენს ქვეყანას ვიცავთ. მე მწამს, რომ ლოკერბისა და ნიგერიის კატასტროფებთან დაკავშირებული პრობლემები ისტორიას ჩაბარდა და ჩვენ ახალ ერაში შევაბიჯეთ. ჩვენ გვაქვს საკუთარი ღირსების გრძნობა და ფულს ამასთან კავშირი არ აქვს. ჩვენ დასავლეთთან ურთიერთობების ახალი ერა დავიწყეთ,"** - განაცხადა მოამარ კადაფიმ.

# ზვიგენები ყაზახეთშიც დაცურავენ



"ყაზახური" ზვიგენები ასტანაში.

სებასტიან ალისონი
"როიტერი"

ერთ დროს მხოლოდ აქლემების, არწივებისა და გარეული ცხენების სამშობლო ყაზახეთი ახლა ზვიგენების ადგილსამყოფელიც გახდა. ცოტა ხნის წინ ყაზახეთის ახალ დედაქალაქ ასტანაში გიგანტური ოკეანერიუმი გაიხსნა. ახალი დაწესებულება იმ მასობრივი მშენებლობების ნაწილია, რომელმაც უდაბნოში მშვენიერი ქალაქი უნდა დაამშვენოს.

ზვიგენების დასათვალიერებლად ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ცნობისმოყვარე ყაზახები ოკეანერიუმს უკვე მიაწყდნენ.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ყაზახეთის ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა. ქვეყანას ნავთობისა და სხვა მინერალური რესურსების უზარმაზარი მარაგი გააჩნია. მსოფლიოს უდიდესმა ნავთობკომპანიებმა, 1991 წლიდან მოყოლებული, ყაზახეთში 20 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი დააბანდეს. შედეგმაც არ დააყოვნა.

პრემიერ-მინისტრმა დანიალ ახმეტოვმა პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს აგვისტოში განუცხადა, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში 10 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ზრდა პირველი შემთხვევა არ არის. უკანასკნელი წლების განმავლობაში ყაზახეთის ეკონომიკა სტაბილურად, ყოველწლიურად 10 პროცენტით იზრდება. ამგვარ მაჩვენებელზე უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და რუსეთი ვერც კი იოცნებებენ.

ზვიგენების ჩამოყვანაც სწორედ ამ შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდის შედეგია. "ოკეანერიუმის შექმნის იდეა პრეზიდენტს ეკუთვნის", - აღნიშნა ოკეანერიუმის მარკეტინგის განყოფილებიდან ალია საგიტაევამ.

მისი თქმით, რამდენიმე წლის წინ პრეზიდენტმა ასტანაში კინო გახსნა, შემდეგ კი მიიჩნია, რომ ეს ხალხის გასართობად საკმარისი არ იყო. პრეზიდენტ ნაზარბაევის აზრით, ახალი გასართობი ცენტრების აშენება აუცილებელია.

"მან ბევრი იფიქრა, რას შეეძლო ყაზახი ხალხის დაინტერესება და ბოლოს, ზღვის დონიდან 3000 მეტრის სიმაღლეზე ოკეანერიუმის აშენება გადაწყვიტა", - განაცხადა საგიტაევამ.

თუმცა, ნავთობიდან მიღებული უზარმაზარი შემოსავლები ყაზახეთის მთელ ტერიტორიაზე არ ნაწილდება. სიმდიდრით მხოლოდ ხუთი "ა" სარგებლობს: ასტანა, ქვეყნის ამჟამინდელი დედაქალაქი, ალმაატა – ძველი დედაქალაქი, ატირაუ – ნავთობის მრეწველობის ცენტრი, აკტაუ – კასპიის ზღვაზე არსებული პორტი და აკტობე – მძიმე მრეწველობის ცენტრი.

ამ ქალაქების მიღმა კეთილდღეობის ნიშანწყალიც კი არ არის. ქვეყნის დანარჩენ ნაწილში ხალხი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ამის ფონზე საოცარ კონტრასტს ქმნის ელიტის საცხოვრებელი სახლები ალმაატაში, აკტაუს პორტი, რომელიც მთლიანად მოდერნიზებულია და, რასაკვირველია, ნავთობით მდიდარი აკტაუ, ჰიუსტონის ყაზახური ვერსია.

ცხადია, რომ ასტანა ყაზახეთის ავტორიტარული მმართველის ნურსულთან ნაზარბაევის სიამაყის მთავარი საგანია. ასტანაში მცხოვრებლები ამბობენ, რომ ქალაქში არსებული სერვისი ძალიან კარგია. თუმცა, ქუჩაში ერთი ქალბატონის თქმით, ის შოკირებულია იმით, რომ ცხრა მილიარდ ტენგედ (60 მილიონი ამერიკული დოლარი) აშენებული ოკეანერიუმის 83 პროცენტი მერიას ეკუთვნის. "მე მეგონა, ის კერძო პირს ეკუთვნოდა. უმჯობესი იყო, ეს ფული საავადმყოფოების აშენებაზე დაეხარჯათ", - დაიჩივლა მან.

ნურსულთან ნაზარბაევი კი ამგვარ მოსაზრებებს ნაკლებად უგდებს ყურს და სულ უფრო გრანდიოზული პროექტების განხორციელებას ცდილობს, რათა თავისი სახელი სამუდამოდ უკვდავყოს.

# "რეალს" ხელი მოეცარა

## რობერტო აიალა "ვალენსიაში" რჩება



რობერტო აიალა

მას შემდეგ, რაც მადრიდის "რეალი" ვეტერანმა იერომ მიატოვა, სამეფო კლუბის არცთუ ისე საიმედო დაცვის ხაზი კიდევ უფრო დასუსტდა. მადრიდელებმა სცადეს, ცენტრალური მცველის პრობლემა არგენტინელი გაბრიელ მილიტოს შეძენით მოეგვარებინათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა და "რეალმა" მისი შეძენისგან თავი შეიკავა. მილიტომ "სარაგოსაში" იპოვა ნავსაყუდელი, "რეალის" დაცვა კი კვლავინდებურად ახალი შევსების მოლოდინშია. მადრიდელებმა წლეულს შეიძინეს დევიდ ბექჰემი – კიდევ ერთი შემტევი ნახევარმცველი. სამაგიეროდ დორტმუნდის "ბორუსიაში" გაანათხოვრეს ფლავიო კონსეისაო. რამდენიმე დღის წინათ კი გუნდი დატოვა კლოდ მაკელელემ. ამ ფეხბურთელების სახით "რეალმა" ორი საყრდენი ნახევარმცველი დაკარგა. ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდის დაცვითი პოტენციალი კიდევ უფრო შეიზღუდა. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე მადრიდელებს დარჩათ მხოლოდ ესტებან კამბიასო - ფეხბურთელი, რომელიც წინა სეზონში ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდებოდა. ცენტრალური დაცვის ხაზში ივან ელგერა და ფრანსისკო პავონი უალტერნატივო ფეხბურთელები არიან.

შემტევ ფეხბურთელებზე ორიენტირებული სატრანსფერო პოლიტიკა დასრულდა. "რეალს" ახლა მცველები სჭირდება, თუმცა, ამ საკითხში სამეფო კლუბს ნაკლებად უმართლებს. მილიტოს არშემდგარ ტრანსფერს კიდევ რამდენიმე იმედგაცრუება მოყვა. ორი დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "რეალმა" "ვალენსიას" არგენტინელ მცველს რობერტო აიალას დაადგა თვალი. კლუბებს შორის მოლაპარაკება დაიწყო და მალევე დასრულდა – აიალა "ვალენსიაში" რჩება.

"ჩვენი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, "ვალენსიამ" ჩვენს მიერ შეთავაზებული წინადადება არ მიიღო", - გუშინ განაცხადა "რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ. ჯერ კიდევ კვირას, ღამით, აიალას სანაცვლოდ მადრიდელებმა "ვალენსიას" 12 მილიონი ევრო შესთავაზეს. ვალენსიელებს თანხა ეცოტავათ და "რეალს" უარი სტკიცეს.

გასულ შაბათს ესპანეთის მორიგმა ჩემპიონატმა აიღო სტარტი. მადრიდელებმა პირველი მატჩი მოიგეს, "ბეტისს" 2:1 სძლიეს, თუმცა, პრესა მადრიდელთა პრობლემებზე ალაპარაკდა. გაზეთები წერენ, რომ "რეალის" დაცვის ხაზში სრული ქაოსი სუფევდა. სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბებს მომავალ ზამთრამდე ტრანსფერების განხორციელების საშუალება აღარ ექნებათ. "რეალი" კი მცველის გარეშე დარჩა...

## TV-სპორტი

### სამშაბათი. 2 სექტემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00, 16:45, 20:40, 23:55 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 იტალიის ჩემპიონატი. "ანკონა" – "მილანი"
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
17:00 უკრაინის ჩემპიონატი. "მეტალურგი" (დ) - "დნიპრო"
18:45 დარტყმა გოლის მიმართულებით
19:00 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
20:00, 23:10 პოსტსკრიპტუმი
20:30 ხვალის პროგრამა
21:00 "ცხრიანი"
21:15 შარშანდელი სეზონის გახსენება. ლიბერტადორესის თასი ნახევარფინალი: "ინდეპენდიენტე მედელინი" - "სანტოსი". მეორე მატჩი.
23:00 იტალიის ჩემპიონატი. მომიხილვა
0:40 "FUTBOL MUNDIAL"
01:10 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "სპორტინგი" პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**
11:00, 16:45 პრეს-ცენტრი
11:15, 18:50 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (14:00) პრეს-ცენტრი
16:15 საჭადრაკო მიმოხილვა
17:00 წრიული ავტორბოლები. გადაცემა იტალიიდან
18:00 ტრიატლონი. გადაცემა სამხრეთ კორეიდან
18:55 ხვალინდელი პროგრამა
19:00 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის წინ.
20:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (22:00) პრესცენტრი, (01:15) ახალი ამბები
03:00 წრიული ავტორბოლები. გადაცემა იტალიიდან
03:30 "სპორტული გლობუსი"
03:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 საცხენოსნო სპორტი
12:30 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი
13:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
14:00 ფეხბურთი ევროგოლები
15:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი დანიაში
16:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
17:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
20:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
02:45 ევროსპორტის სიახლენი
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
05:00 ევროსპორტის სიახლენი

## ფეხბურთი

# სახალისო ფეხბურთი: დასასრული და დასაწყისი

მიხეილ აბაიშვილი

"24 საათი" უკვე გატყობინებდათ, რომ საქართველო ჩაერთო უეფას ჰუმანიტარულ პროგრამაში "სახალისო ფეხბურთის სკოლები", რომელიც ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა საზაფხულო საფეხბურთო სკოლების გახსნას ითვალისწინებდა. თბილისში გაიხსნა ამ პროგრამის ცენტრალური ოფისი, რომელიც კოორდინირებას უწევდა კავკასიის სხვა ქვეყნებს - სომხეთს და აზერბაიჯანს. პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3000-მდე 8-12 წლების მოზარდმა და 300-მდე მწვრთნელმა, უკვე დასრულდა, თუმცა, მისი კავკასიის ოფისის ხელმძღვანელის, თამაზ თევზაძის განცხადებით, იგი მომავალ წელს აუცილებლად გაგრძელდება.

გუშინ, ამ პროგრამასთან დაკავშირებით, ფეხბურთის ფედერაციის ოფისში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თამაზ თევზაძემ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან პროგრამის კურატორმა ბადრი ქარქაშაძემ და ინსტრუქტორმა ბოსნია-ჰერცეგოვინიდან, ზორან სტაევიჩმა, რომელსაც პორგრამის მონიტორინგი ჰქონდა დავალებული.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზორან სტაევიჩი, თამაზ თევზაძე და ბადრი ქარქაშაძე პრესკონფერენციაზე

ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც ამ პროექტის ორგანიზატორებსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმდა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში საფეხბურთო სპორტსკოლების ბაზაზე გაიხსნა სახალისო ფეხბურთის 12 სკოლა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სკოლები გაიხსნა კონფლიქტის ზონებშიც - ცხინვალის რეგიონსა და ოჩამჩირეში, სადაც ქართველი, ოსი, აფხაზი და სხვა ეროვნების ბავშვები ერთად ცხოვრობდნენ, ფეხბურთში ვარჯიშობდნენ და სახალისო-გასართობ პროგრამებში მონაწილეობდნენ.

პროგრამის დაწყებამდე ჩატარდა ორი სემინარი, რომელზეც 200-მდე მწვრთნელმა კვალიფიკაცია აიმაღლა და პროექტში მონაწილეობის სერთიფიკატი მიიღო. მეორე სემინარს "ბავშვთა სახალისო საფეხბურთო სკოლების" პროგრამის გენერალური მენეჯერი და დამაარსებელი, დანიელი ანდერს ლევინსენი თავად უძღვებოდა. სემინარების დასრულების შემდეგ თითოეულ სკოლაში ჩატარდა 30-საათიანი პროგრამა, რომლის უდიდესი ნაწილი მოზარდთა საფეხბურთო ოსტატობის ამაღლებას მიეძღვნა. თუმცა, იმის გამო, რომ პროექტის მთავარი მოთხოვნის მიხედვით, მასში მონაწილეთა დიდ ნაწილს მანამდე ფეხბურთთან საერთოდ არ ჰქონია შეხება, ორგანიზატორებმა ბავშვებს არც გართობა მოაკლეს და სხვადასხვა სახის ესტაფეტით თუ ეროვნული სპორტის სახეობების ელემენტებით (ლახტი, ბაგირის გადაძალვა და ა.შ.) გაამრავალფეროვნეს პროგრამა. ყველაფერ ამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა საკმაოდ ძვირი დაჯდა, თუმცა, მისი დაფინანსება, ისევე როგორც ამ პროგრამაში მონაწილე სხვა ქვეყნებში, მთავარმა სპონსორებმა, უეფამ, დანიისა და ნორვეგიის მთავრობებმა და ცნობილმა ფარმაცევტულმა შვედურმა ფირმამ "ნოვა ნორდიკმა" ითავეს. პროგრამა დასრულდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კი საქართველოში დარჩა. თითოეულ სკოლას 150-150 ბურთი გადაეცა. ამას გარდა, სათამაშო ფორმებით, საფეხბურთო ინვენტარითა და სხვა სპორტული მატერიალური ფასეულობებით, რომელიც ამ პროგრამის წყალობით მიიღო საქართველომ, საფეხბურთო სპორტსკოლებისა და ნორჩ ფეხბურთელთა მფლობელობაში გადავიდა.

## ჩოგბურთი

# ბრძოლა რუსების გარეშე

**ნიუ-იორკი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. "დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 5 156 000 დოლარი. მესამე წრე:**

*ვაჟები*
*შარშანდელი გამარჯვებული პიტ სამპრასი (აშშ)*

| | |
|---|---|
| ანდრე აგასი (აშშ, 1) - ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 6:3, 7:6, 6:4 |
| ქსავიე მალისი (ბელგია) - დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 7:5, 6:4, 7:6 |
| კარლოს მოია (ესპანეთი, 7) - ნიკოლას მასუ (ჩილე) | 7:5, 6:4, 3:6, 6:3 |
| იუნეს ელ აინაუი (მაროკო) - ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 10) | 7:6, 5:7, 3:6, 6:3, 7:6 |
| ენდი როდიკი (აშშ, 4) - ფლავიო სარეტა (ბრაზილია) | 6:1, 6:3, 6:3 |
| სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 12) - ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 7:6, 7:6, 7:6 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია, 8) - ალბერტო მარტინი (ესპანეთი) | 6:1, 6:4, 6:2 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 13) - მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 7:5, 6:7, 6:3, 6:2 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 2) - ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 6:3, 7:6, 6:3 |

*ქალები*
*შარშანდელი გამარჯვებული სერენა უილიამსი (აშშ)*

| | |
|---|---|
| კიმ კლიისტერსი (ბელგია, 1) - მეგან შონესი (აშშ) | 6:2, 6:4 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 3) - ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 19) | 6:0, 6:7, 6:2 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 5) - ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) | 6:2, 6:2 |
| პაოლა სუარესი (არგენტინა, 24) - ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 6:2, 3:6, 7:5 |



REUTERS

ანდრე აგასიმ უკანასკნელი რუსი დაიფრინა

ამერიკის ღია პირველობის ვაჟთა თანრიგში არც ერთი რუსი აღარ დარჩა. მესამე წრეს ორად ორი რუსი - დმიტრი ტურსუნოვი და ევგენი კაფელნიკოვი შერჩნენ. ტურსუნოვი, რომლის მესამე წრეში გასვლა ლამის ტურნირის მთავარ სენსაციად მონათლა, გამოცდილ ბელგიელ ქსავიე მალისთან პაექრობაში დამარცხდა.

ერთ დროს პირველი - სოჭელი ევგენი კაფელნიკოვი კი უკანასკნელი მოჰიკანი აღმოჩნდა, რომელმაც ნიუ-იორკის კორტებზე გედის სიმღერა წაიღიღინა და ტურნირის პირველი ნომრის ანდრე აგასის ნიჭსა და გამოცდილებას შეეწირა. ეს გაჯანჯლებული მატჩი აგასიმ სამ სეტში მოიგო, თუმცა, ერთი ტაი-ბრეიკის თამაში მაინც მოუხდა (ესეც არ იყო პრობლემა. ამერიკელმა ტაი-ბრეიკზე 7:4 მოიგო).

ვიდრე წვიმა თამაშს შეწყვეტდა, აგასიმ ერთი სეტის მოგება მოასწრო. მეორეში კი თავისი მოწოდება კაფელნიკოვს დაუთმო და წვიმამაც მეჩოგნეებს გასახდელისკენ მიუთითა. გამოდარებას ამერიკელი აშკარად უკეთ შეეგება. მან სასწრაფოდ დაიბრუნა თავისი მოწოდება და თამაში ტაი-ბრეიკში გადაიყვანა. აქ კი, როგორც იტყვიან, ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო, რაც აგასის აშკარად უკეთესი აღმოაჩნდა და ტურნირის პირველმა ნომერმა მეორე სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. მესამე სეტში აგასისთვის მეტოქის ერთი მოწოდების აღებაც საკმარისი აღმოჩნდა პარტიის მოსაგებად.

ამ მატჩის გარდა, ნიუ-იორკის კორტებზე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც მოხდა. გათამაშებას გამოეთიშა ტურნირის მე-10 ნომერი, ჩეხი ირჟი ნოვაკი. 5-სეტიან, დაძაბულ ბრძოლაში მაროკოელ იუნეს ელ აინაუის მეტი ჟინი და გამძლეობა აღმოაჩნდა გადამწყვეტი სეტის მოსაგებად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში მაროკოელს თვითონ ნოვაკმაც შეუწყო ხელი. გადამწყვეტ მოწოდებაზე სწორედ ნოვაკის შეცდომამ მოაპოვებინა ელ აინაუის გამარჯვება.

საინტერესო გამოდგა ჰოლანდიელი სიენგ შალკენისა და ხორვატი ივო კარლოვიჩის დაპირისპირება. ჰოლანდიელმა სამ სეტში იმარჯვა, მაგრამ სამივე ტაი-ბრეიკით მოიგო. მომდევნო ეტაპზე გავიდნენ, ტურნირის მეორე ნომერი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი და მეოთხე ნომრად განთესილი, ამერიკელი ენდი როდიკი.

ქალთა ნაწილში ფავორიტები უპრობლემოდ აგრძელებენ ბრძოლას. შემდეგ ეტაპზე ითამაშებენ: კიმ კლიისტერსი, ლინდსი დევენპორტი და ამელი მორესმო.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** პრაღის "სლავიას" ნახევარმცველმა რუდოლფ სკაცელმა 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა მარსელის "ოლიმპიკთან". 24 წლის ფეხბურთელი მეორე ჩეხია, ვინც ფორვარდ სტეპან ვახოუშეკის შემდეგ "ოლიმპიკის" ღირსებას დაიცავს. სატრანსფერო თანხა არ სახელდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიელი ნახევარმცველი დინო ბაჯო, რომელმაც თავის დროზე "პარმაში" თამაშით გაითქვა სახელი, ამიერიდან ინგლისურ "ბლექბერნში" ითამაშებს. გუშინ ბაჯომ სამედიცინო შემოწმება გაიარა. ბაჯოს უკანასკნელი კლუბი რომის "ლაციოა". "ბლექბერნის" გარდა, იტალიელით "ვულვერჰემპტონი" და "სელტიკი" იყვნენ დაინტერესებული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელი რონალდო ახალ სეზონში მე-9 ნომრით ითამაშებს. ადრე 9-ნომრიანი მაისურით თამაშობდა ფერნანდო მორიენტესი, რომელიც ახლახან იჯარის წესით "მონაკოში" გადავიდა. შეგახსენებთ, რომ რონალდოს დიდი ხანია 9-ნომრიანი მაისურით სურდა თამაში. "მონაკოს" მიერ მორიენტესის გადაბირება კი იმით არის განპირობებული, რომ მონაკოელებმა ვერ შეძლეს, "სელტიკისგან" შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი შეესყიდათ. შოტლანდიელებმა თავისი ლიდერის სანაცვლოდ უზარმაზარი თანხა მოითხოვეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ავღანეთში დისლოცირებულმა ინგლისის ქვედანაყოფებმა გადაწყვიტეს, ამ ქვეყანაში აღადგინონ საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც თალიბების მმართველობის დროს აკრძალეს. ამ საქმისთვის ქაბულში გაემგზავრება ბრიტანეთის არმიის გადამდგარი მაიორი მაიკლ მორიარტი. მას გერმანელი ჰოლგერ ობერმანი დაეხმარება. ევროპელები ვარაუდობენ, რომ ფეხბურთი ავღანელებს ცხოვრების ნორმალური, მშვიდობიანი რიტმის აღდგენაში დაეხმარება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ამსტერდამის "აიაქსმა" განაცხადა, რომ კრისტიან კივუს "რომაში" გადასვლა არშემდგარი ტრანსფერია, იმის გამო, რომ იტალიელებმა ვერ წარმოადგინეს 18-მილიონიანი ფინანსური გარანტიები. ასე რომ, ფეხბურთელი უკვე ამ კვირაში დაბრუნდება ამსტერდამელთა განკარგულებაში. შეგახსენებთ, რომ კლუბებმა კივუს ტრანსფერზე ჯერ კიდევ 8 ივლისს მოილაპარაკეს. რუმინელმა რომაულ კლუბთან 5-წლიანი პირადი კონტრაქტიც კი გააფორმა, მაგრამ იტალიური კლუბის ფინანსური არამდგრადობის გამო ფიფამ "რომას" ტრანსფერებს ტაბუ დაადო. კივუს გადაბირება "ინტერსა" და მადრიდის "რეალსაც" სურდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ათენის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირზე აშშ-ის ნაკრებმა გაანადგურა არგენტინის გუნდი და ამით მსოფლიო ჩემპიონატზე დამარცხებისთვის ღირსეული რევანში აიღო. ფინალურ მატჩში ამერიკელებმა 106:73 გაიმარჯვეს. გამარჯვებულთა შორის საუკეთესო იყო ტიმ დანკანი, რომელმაც 23 ქულა მოაგროვა.

აშშ-ისა და არგენტინის მსგავსად, ათენის საგზური მოიპოვა პუერტო-რიკოს ნაკრებმა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში კანადის გუნდი დაამარცხა - 79:66. თავი გამოიჩინეს პუერტორიკოელმა გიგანტებმა ხოსე ორტისმა და დანიელ სანტიაგომ. პირველი ნახევრის შემდეგ სწორედ მათი ძალისხმევით დაწინაურდნენ პუერტორიკოელები 14 ქულის სხვაობით, რამაც საბოლოოდ მათ გაამარჯვებინა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ყოფილი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა ხუთ დღეში გაათავისუფლეს ტელეკომენტატორის თანამდებობიდან. ტელეარხის ხელმძღვანელობა ვარაუდობდა, რომ კურნიკოვას მოწვევით მაყურებელს მიიზიდავდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ანას ძალისხმევა არ ეყო ამერიკის ღია ჩემპიონატზე სამუშაოდ. მაყურებელმა მხოლოდ მისი მოკლე კაბა დაიმახსოვრა. ამისთვის კურნიკოვამ 140 ათასი დოლარი მიიღო.

■ ■ ■

**კრივი.** აზუმა ნელსონი და უმბერტო "ჩიკიტა" გონსალესი სათავეში უდგანან 8-კაციან სიას, რომლებიც 2003 წლის 18 ოქტომბერს მსოფლიო კრივის დიდების დარბაზის წევრები გახდებიან. საზეიმო ცერემონიალი ჩემპიონთა ყოველწლიურ ბანკეტს დაემთხვევა. სხვა მოკრივეებიდან ამ პატივს მიღებენ: როდოლფო "ელ გატო" გონსალესი, დელ ფლანაგანი და ჯონ ჯიამბრა. დიდების დარბაზში აგრეთვე მოხვდებიან მენეჯერი რიკარდო მალდონადო, მენეჯერი, მწვრთნელი და პრომოუტერი ბენი ჯორდინო და ჟურნალისტი მაიკლ კაცი.



# კეთილშობილი ბანდიტი, "ილ ბრუტო"

"ათიოდე წლის წინ ჩემი სახის დანახვა კინოში არავის უნდოდა, ყოველ შემთხვევაში, "კარგი ბიჭის" როლში მაინც. მაგრამ დრო შეიცვალა. ბოლოს მოხდა ისე, რომ საჭირო დროს საჭირო სახე აღმომაჩნდა", - ასეთი მშვიდი და გაწონასწორებული განწყობით "აღნიშნა" ჩარლზ ბრონსონმა "გავარსკვლავება". არავითარი ყალბი პათეტიკა და სტანდარტული ჰოლივუდური ტექსტები: "მადლობა მამას, დედას და ჩემ პატარა ძაღლს"...


კადრი ფილმიდან "სიკვდილის სურვილი 3"

ბრონსონი ამ ტიპის ვარსკვლავი არასდროს ყოფილა. ის ახერხებდა და პოპულარული ჰოლივუდური ფასეულობების დაუცველად ხდებოდა. მეტიც, მას ისე მიანიჭეს "ოქროს გლობუსი", როგორც "მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ მსახიობს" (ეს 1972 წელს მოხდა), რომ თავისი პირადული ცხოვრების შესახებ ჟურნალისტებთან არასდროს უსაუბრია. პირიქით, მათ ყოველთვის უბნევდა თავგზას და შეძლებისდაგვარად უმალავდა თავის ნამდვილ "მეს".

"შესანიშნავი შვიდეული", "დიდი გაქცევა", "წითელი მზე", "ვალაჩის დოკუმენტები", "ერთხელ დასავლეთში" – ეს ის ფილმებია, რომელთა გამოც შეუხედავი გარეგნობის, მაგრამ ძალიან ვაჟკაცური ბრონსონი ქართველმა მაყურებელმაც შეიყვარა.

გუშინ 81 წლის მსახიობი ლოს ანჯელესის კლინიკაში პნევმონიით გარდაიცვალა. მის სასთუმალთან ბოლო წუთამდე იჯდა მესამე ცოლი კიმი. ბრონსონს ექვსი შვილი და ორი შვილიშვილი დარჩა. მისი მეორე მეუღლე, მსახიობი ჯილ აირლენდი 1990 წელს გარდაიცვალა სიმსივნით. წყვილმა ერთად ოცდაათი წელი გაატარა და მრავალ ფილმში ერთადაც ითამაშა...

გუშინვე მედიამ ბრონსონის გარდაცვალების გამო ცნობილი მსახიობებისა და რეჟისორების კომენტარები გაავრცელა. ბრიტანელი რეჟისორი მაიკლ ვინერი კი ახალ ამბავს "ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში გამოეხმაურა. მან ბრონსონი ექვს ფილმში გადაიღო, აქედან სამი Death Wish-ის სერიები იყო, რომლებიც საერთაშორისო ბლოკბასტერები გახდნენ.

ვინერის თქმით, ბრონსონი უმაღლესი რანგის მსახიობი იყო, რომელსაც ბოლომდე არ აფასებდნენ. მისთვის არც "ოსკარი" მიუციათ.

პროდიუსერ ფრენკ კონისბერგის აზრით კი "ბრონსონი ფლობდა მითიურ ამერიკულ თვისებას, რომელიც ყოველთვის იჩენდა თავს. ის მუშათა კლასის გმირი იყო".

სხვათა შორის, მუშათა კლასი კონისბერგს ტყუილად არ უხსენებია. სიღარიბეში გაზრდილი და ჰოლივუდში მაღაროდან მისული ბრონსონი, მართლაც, ყოველთვის ასოცირდებოდა უხეშ, მუშა ძალასთან.


კადრი ფილმიდან "მექანიკოსი"

ბრონსონი ლიტველი ემიგრანტების, ბუკინსკების ოჯახში დაიბადა. 15 შვილიდან რიგით მე-11 იყო. მამა ათი წლის ასაკში დაეღუპა და ის წესიერად არც ახსოვდა. ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. დედა ბავშვებისთვის ტანსაცმელს თითქმის ვერასდროს ყიდულობდა და ჩარლზიც თავისი უფროსი დის გამონაცვალ კაბებში გაიზარდა. მეტიც, რადგანაც ოჯახში მისი ზომა შარვალი თითქმის არასდროს მოიძებნებოდა, 6 წლის ბიჭიც სკოლაში პირველ დღეს დის კაბით წავიდა... 16 წლისა მაღაროში მუშაობდა, ნახშირი ამოჰქონდა. თითო ტონა ნახშირზე თითო დოლას უხდიდნენ. 1943 წელს ომში წავიდა, უკან დაბრუნებული რაზე აღარ მუშაობდა, იყო ქვისმთლელი, მზარეული, ერთ ხანს, ნიუ იორკის შტატში ხახვსაც კრეფდა. მერე ატლანტიკ სიტიში გადასახლდა, სადაც პლაჟისთვის სკამებს აქირავებდა. იქ გაიცნო ფილადელფიელი მსახიობები, რომლებმაც ჩარლზი თავიანთ დასში მხატვრად აიყვანეს, შემდეგ კი პატარ-პატარა როლებიც მისცეს. სწორედ მაშინ აღმოაჩინა ახალგაზრდა ბუკოვსკიმ, რომ მსახიობობა მხატვრობაზე მეტად უყვარდა და კალიფორნიაში გადასახლდა, პასადენას თეატრის სკოლაში სასწავლებლად.

მისი დებიუტი 1951 წელს შედგა. ფილმში "შენ ახლა ჯარისკაცი ხარ", რომელშიც გერი კუპერი თამაშობდა, ჩარლზს ეპიზოდური როლი მისცეს. წლების შემდეგ ბრონსონი იხსენებდა, ფილმში თამაშის ნება მხოლოდ იმიტომ დამრთეს, რომ ყველაზე დამაჯერებლად ვიგინებოდიო. დაახლოებით 50-იან წლებშივე შეიცვალა გვარი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვარსკვლავური მანიით დაავადდა და საკუთარი გვარი აღარ მოეწონა: ბუკოვსკი ბრონსონად კომუნისტების რიდის გამო იქცა. ჩარლზმა გადაწყვიტა, რომ ჯოზეფ მაკარტის მხარდამჭერები აუცილებლად მიაქცევდნენ ყურადღებას გვარს, რომელიც რუსულად ჟღერდა...

მართალია, 1960 წლამდე ბრონსონი უკვე რამდენიმე ფილმში მონაწილეობდა, მაგრამ აღიარება მხოლოდ "შესანიშნავმა შვიდეულმა" მოუტანა, რომელშიც ის იულ ბრინერთან და სტივ მაქკვინთან ერთად თამაშობდა. სერჯო ლეონეს "ერთხელ დასავლეთში" (ფილმში ასევე თამაშობენ კლაუდია კარდინალე და ჰენრი ფონდა) და საფრანგეთში გადაღებული "სან სებასტიანის თოფები" კი საკადრისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ბრონსონი ევროპელ მაყურებელსაც გაეცნო. იტალიელები მას "ილ ბრუტოს" – მახინჯს ეძახდნენ, ფრანგები კი "წმინდა მონსტრს".

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბრონსონს ამერიკელი მიმომხილველები ხშირად აკრიტიკებდნენ Death Wish-ის სერიებისა და მასში ასახული ძალადობის გამო. ამაზე მსახიობი კოპებშეკრული ამბობდა: "ჩვენ ფილმებს კრიტიკოსებისთვის არ ვიღებთ, იმიტომ რომ, რაც არ უნდა იყოს, ისინი მათ სანახავად არც არაფერს იხდიან". თუმცა, სინამდვილეში ბრონსონი ძალიან განიცდიდა თავის დაშტამპულ როლებს და ამბობდა: "ერთხელაც მინდა, წყნარ ფილმში ვითამაშო, როცა, მაგალითად, ოთახში ცეცხლი გუგუნებს, მე კი იდაყვით ბუხრის კიდეს ვეყრდნობი და კოქტეილს ვსვამ"...

ამას ამბობდა ძალზე იშვიათად, ისე კი ჟურნალისტებს სულ უმტკიცებდა, რომ ცხოვრებაში ისეთი მამაცი და სასტიკია, როგორც ფილმებში და რომ დანის სროლით თავშექცევაც ძალიან უყვარს. მხოლოდ დიდი ხნის ძიების შემდეგ დაადგინეს რეპორტიორებმა, რომ ბრონსონის ჰობი დანის სროლა კი არა, ხატვაა და რომ ცხოვრებაში თავისი გმირების ანტიპოდია – წყნარი, თავაზიანი და ჩუმი.

# შრომის დღე ბორბლებზე

## შეერთებულ შტატებში მძღოლზე მეტი ავტომობილია

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

1 სექტემბერი შეერთებულ შტატებში "შრომის დღეა". ეს არ არის ფიქსირებული დღესასწაული. ამ დღეს სექტემბრის პირველ ორშაბათს აღნიშნავენ. შრომის დღე შეერთებულ შტატებში "პროლეტარიატის ძალების საბრძოლო ჩვენება" არ არის; ეს გაწელილი უიკენდია, რომელიც, პრაქტიკულად, საღამოს იწყება და სამშაბათ დილამდე გრძელდება. აქ შრომის დღე არა პიკეტებითა და დემონსტრაციებით აღინიშნება, არამედ ბორბლებზე. შრომისა და კაპიტალის ორთაბრძოლის ნაცვლად, ამ დღეს იმართება ბრძოლა პოლიციელებსა და ავტომობილის მძღოლებს შორის. სწორედ ამის შესახებ უნდა გიამბოთ ქვემოთ.

ამერიკის საავტობომილო ასოციაციის (AAA) სტატისტიკის მიხედვით, წელს შრომის დღეს 334 მილიონმა ამერიკელმა გაიარა 50 მილზე მეტი, რაც 1,8 პროცენტით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. 84 პროცენტმა ისარგებლა ავტოტრანსპორტით. ეს კი შარშანდელ მაჩვენებელზე 2,2 პროცენტით მეტია. 11-მა პროცენტმა, ანუ 3,7 მილიონმა ადამიანმა უპირატესობა ავიაციას მიანიჭა, 2,6-მა პროცენტმა კი მატარებელსა და ავტობუსს.

ყოველწლიურად შეერთებულ შტატებში საჭესთან ნასვამი მძღოლები ავტოკატასტროფების 40 პროცენტის მიზეზს შეადგენენ. "შრომის დღის" უიკენდზე ეს მაჩვენებელი ყოველთვის იზრდება. შარშან ნასვამი მძღოლების სინდისზე ავტოკატასტროფებში გარდაცვლილთა 50 პროცენტი მოდიოდა. საქმე იმაშია, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალური კომიტეტის მონაცემებით, "შრომის დღეს" ამერიკაში "მუდმივი" ლოთ-დამრღვევების გარდა, "არაპროფესიონალი" მსმელებიც კი ეტანებიან სპირტიან სასმელებს. იგივე კომიტეტის წინასწარი გათვლებით, წელს შრომის დღეს დაიღუპებოდა 488 ადამიანი, მათ შორის 250-255 – სწორედ ნასვამი მძღოლების მსხვერპლი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი რამდენიმე მეტად პრიმიტიული რეკომენდაციით გამოვიდა საზოგადოების წინაშე. მაგალითად, ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, ფეხით მოსიარულეებს ურჩევენ, ჩაიცვან ნათელი ფერის სამოსი და იარონ მანქანების ნაკადის პირისპირ.


ამერიკა ბორბლებზე

წლევანდელ შრომის დღესთან დაკავშირებით ბენზინზე ფასი გაიზარდა - გალონზე 20-30 ცენტით. ეს არის რეკორდული ნახტომი, თუმცა სამანქანო მოძრაობის ინტენსიობაზე ამას დიდად არ უმოქმედია. "სანაპიროზე, თუ მთაში ბებიასთან, ორი საათის სავალზე, სულ რაღაც 3-5 დოლარი ჯდება, რაც, დაახლოებით, ერთი ფინჯანი კარგი ყავის ტოლფასია", - ხსნის AAA-ის სპიკერი ჯასტინ მაკიელი. ამის მიუხედავად, კონგრესმენმა ედვარდ მერკიმ, მასაჩუსეტის შტატის დემოკრატმა წერილი გაუგზავნა ენერგეტიკის მინისტრს სპენსერ აბრაჰომს. "ენერგეტიკის სფეროში ჩემი 26 წლიანი ყოფნის განმავლობაში, არ მახსოვს ბაზარზე ფასების ასეთი მკვეთრი ზრდა", - წერს კონგრესმენი. იგი ამ ყველაფერთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას მოითხოვს.

ამერიკის გზების ავტომანქანებით გამდიდრება არამარტო ავტოკატასტროფების, არამედ სოციალური კატასტროფების არარსებობის მიზეზიცაა. როდესაც საკუთარი სახლი და ავტომობილი გაქვს, ცოტა უხერხულია პროლეტარივით ქვების სროლა, იმიტომ, რომ ჯაჭვებზე ცოტა მეტი გაქვს დასაკარგი. ამიტომაც აშშ-ში შრომა და კაპიტალი შეცვალეს ცისფერმა და თეთრმა საყელოებმა. წითლები აქ არ არიან.

აშშ-ში მოძრაობა ძალიან გადატვირთულია. ამას სტატისტიკაც მოწმობს. სამუშაო დღეებში გეგონებოდა მთელი ამერიკა ბორბლებზე შედგაო. მაგრამ ეს მხოლოდ ასე ჩანდა – თვალი გვატყუებდა. ავტომანქანების დიდი ნაწილი უმოქმედოდ იდგა გარაჟებსა და ავტოსადგომებში. რატომ? იმიტომ რომ, აშშ-ს ტრანსპორტის სამინისტროს ცნობით, ქვეყანაში ავტომანქანები უფრო მეტია, ვიდრე მძღოლები. "ვინაიდან მანქანებს ჯერ თვითონ არ უსწავლიათ სიარული, ისინი ერთ ადგილზე დგანან და ცდებიან," – ხუმრობს ამერიკის საავტომობილო ასოციაციის სპიკერი მაკნეილი. საშუალო ამერიკულ ოჯახზე დღეისათვის 1,75 მძღოლი და 1,90 ავტომანქანა მოდის (შედარებისთვის, ველოსიპედების რაოდენობა თითოეულ ოჯახზე 0,86 გახლავთ, ანუ ერთზე ნაკლები).


ესეთი "საცობი" ჩვეულებრივი მოვლენაა ამერიკაში

ავტომანქანების რაოდენობამ უკვე გადაუსწრო მძღოლების რაოდენობას, რადგანაც "მანქანები, ფეხსაცმლის მსგავსად, სპეციალიზირებულნი გახდნენ" (ციტატა "ნიუ იორკ ტაიმსიდან"). ჩვენ კი, მოგეხსენებათ, ფეხსაცმელი ფეხებზე მეტი გვაქვს - ჩექმა, ბოტები, "ბათინკები" და ა.შ. (ქალის ფეხსაცმელს აღარც კი ჩამოვთვლი, საშინელებაა პირდაპირ, იმდენია). ამერიკის საავტომობილო ასოციაციის სტატისტიკით, ოჯახს, სადაც ორი მძღოლია, როგორც წესი, სჭირდება მანქანა სამსახურში წასასვლელად, მანქანა არასამსახურეობრივ საქმეებზე გასასვლელად და "ორადგილიანი დედ-მამისთვის, როცა მათ სურთ რამდენიმე საათით მოწყდნენ ამ სამყაროს ყოფით რეალობას". თუ მარტო მძღოლებს კი არა, იმ ადამიანებსაც ჩავთვლით, ვინც საჭესთან არ ზის, თითოეულ ორკაციან ოჯახზე მოდის 1,98 მანქანა; სამკაციანზე – 2,31; ოთხკაციანზე კი – 2,39 ავტომანქანა.

მანქანებს ძირითადად მოკლე მანძილებზე გადასაადგილებლად იყენებენ. 2001 წლის მონაცემებით, ამერიკელების 91,2 პროცენტი სარგებლობდა ავტომანქანით სამსახურში მისასვლელად; 4,9 პროცენტი სარგებლობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, დანარჩენები კი დანიშნულების ადგილას – ანუ სამსახურში ფეხით მიდიოდნენ. დღეისათვის, გვაცნობებს აშშ-ს ტრანსპორტის სამინისტრო, ავტომანქანა მხოლოდ ოჯახების 7,9 პროცენტს არ ჰყავს (1995 წელს 8,1 პროცენტი იყო უმანქანო). როგორც ტრანსპორტის სტატისტიკის ბიუროს სპიკერი როჯერ ლოტცი ამბობს, "უცხენოები" არა მხოლოდ ის ადამიანები არიან, რომელთაც არ შეუძლიათ თავს მანქანის ყიდვის უფლება მისცენ ან არა აქვთ მანქანის მართვის მოწმობა, არამედ საკმაოდ შეძლებული პირებიც დიდი ქალაქებიდან, მაგალითად, ნიუ იორკიდან, რომელთაც არ სურთ ზედმეტი თავსატეხი, არც დროის დაკარგვა უნდათ ავტოსადგომის ძებნაში, და გადასახადებისა და ჯარიმების გადახდასაც ერიდებიან.

ასეთი ჩანს სამუშაო დღე აშშ-ში ავტომანქანის შუშის პრიზმიდან. ამიტომ "კლასის" ცნება აქ ავტომანქანებს უფრო შეეფერება, ვიდრე ადამიანებს.

სვეტი



# იოტასათვის

შოთა იათაშვილი

ერთი დიდი ქართული გაზეთის ლაპლაპა, გრილ რედაქციაში ვიჯექი და რაკი საჩქარო იყო, ერთი პერიოდული ლიტერატურული გამოცემისათვის კომპიუტერზე ლექსებს ვკრეფდი. ერთ ადგილას იოტა დამჭირდა და როგორც მახსოვდა, Insert-იდან Symbol-ში შევედი, მაგრამ რატომღაც ვერ ვიპოვე იქ ჩემი იოტა. ბერძნული ალფა-დელტა-გამები და კიდევ მრავალნაირი ხაზები და რგოლები იყო მხოლოდ. ჰოდა გავძახე რედაქციის ვრცელ და ნათელ ოთახში მიმოფანტულ ნაცნობ-უცნობ გოგო-ბიჭებს, იოტა მინდა და სად მოვძებნო, მითხარით-მეთქი. ააღირეს თავები კომპიუტერებიდან გოგო-ბიჭებმა, თანამედროვეებმა, ნიჭიერებმა, გულისხმიერებმა, გამომხედეს და მხრები აიჩეჩეს, არ ვიცითო. გამიკვირდა, ეგ რანაირად, ყოველდღე კომპიუტერს უკაკუნებთ, მასალებს პირდაპირ კომპიუტერზე წერთ და რანაირად არ იცით-მეთქი. არაო, არ ვიცითო, მართლა არ ვიცითო, შეწუხდნენ, იმიტომ, რომ ძვირფასი ადამიანები იყვნენ, ბევრი ჭიქა ღვინისა თუ ჭიქა ყავის ჩემთან ერთად შინაარსიან საუბრებში დამცლელნი. თუმც, ამ ძვირფასი ადამიანებიდან ზოგიერთმა ქირქილიც კი დაიწყო, რა ჯანდაბად გინდა ეგ ადამისდროინდელი იოტაო. ერთი სიტყვით, ამ დიდი ქართული გაზეთის ჟურნალისტებისაგან ვერაფერი ხეირი ვერ ვნახე და ვიყავი ასე, სანამ კიდევ ერთი ძველი ნაცნობი, "კომპიუტერშჩიკი" თ. არ გამოჩნდა ჰორიზონტის ხაზზე (ეჰ, რა დრო იყო, მასთან ერთად ერთი ქართული ლიტერატურული გაზეთის პირველ ნომრებს რომ ვაკაბადონებდი ჯახირით მდარე კომპიუტერებზე!) და მეც იმედმოცემულმა მოვუხმე მას ჩემსკენ. მოვიდა მუდამ მზადმყოფი და ღიმილიანი თ.-ც და მართალია, ცოტა წვალებით, მაგრამ მაინც იპოვა სანატრელი იოტა. სწორი გზით წავსულვარ თურმე: Insert-იდან Symbol-ში, ოღონდ მერე შევფერხებულვარ, არადა ძიება არ უნდა შემეწყვიტა. მოკლედ, ჩავსვი ჩემს ლექსში სისხლის ფასად მოპოვებული იოტა და უნდა გამეგრძელებინა ლექსების აკრეფა, მაგრამ უცებ გულზე საშინელი ნაღველი დამაწვა. თავიდან ვერ მივხვდი, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ ცოტა ხანში გავაცნობიერე: ჩემი ნაღველის მიზეზი იოტას გარეშე დარჩენილი თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა იყო. იმ იოტას გარეშე, ბერძნული ალფასავით დაკლაკნილ ჭიას რომ ჰგავს (როგორც ერთაოზ ბრეგაძე იტყოდა) და ჭიასავით რომ გასრისეს რატომღაც. ლიტერატორები არ ეპუებიან ამ ფაქტს და გასრესილ დაკლაკნილ ჭიას თავიანთ ნაწერებში ალაგ-ალაგ ჩამოაკონწიალებენ ხოლმე, თითქოს ანკესზე წამოცმული ის ჭია იყოს, რომლითაც შეიძლება კალმახი - მაღალი სინჯის პოეზია თუ პროზა - დაიჭირო... ილუზიაა ცხადია, ხშირად ეს და უხეირო მეთევზეებივით შეიძლება სიცოცხლის ბოლომდე ლიტერატურის მდინარის წინ ყუმებივით ისხდნენ იოტიანი სატყუარებით ისინი. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ლიტერატორები იოტას რომ არ წირავენ, კარგია უკვე ეს. ხოლო თანამედროვე ჟურნალისტიკას რომ უკვე იოტისოდენა სურვილიც არა აქვს იოტას გამოყენებისა, ეს უკვე ცუდის მანიშნებელია: ჟურნალისტიკა ხომ გარკვეულწილად, რაღაც პატარა დოზით მაინც ლიტერატურული უნდა იყოს, ლიტერატურულობის გამოცდილება ხანდახან მაინც ეტყობოდეს. და თუკი ასეა, მაშინ ათასში, ათიათასში, ასიათასში ერთხელ, მაგრამ ჟურნალისტიკამაც უნდა გამოიყენოს იოტა, ამ დიდი ყოველდღიური ქართული გაზეთის ამდენი ჟურნალისტიდან ერთხელ მაინც უნდა ჰქონდეს რომელიმე მათგანს თავის მასალაში ერთი იოტა მაინც გამოყენებული, ერთხელ მაინც უნდა შესულიყო რომელიმე მათგანი თავის კომპიუტერში Insert-იდან Symbol-ში და იქ მოეძებნა ქართული ანბანის ასო იოტა... არადა, არაფერი ასეთი არ მომხდარა: გაზეთის ამდენი ნომერი, ამდენი გვერდი, მასალა, აბზაცი, სიტყვა, ასო და, წარმოიდგინეთ, არც ერთი იოტა! ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!

ერთი დიდი ქართული გაზეთის ლაპლაპა, გრილ რედაქციაში ვიჯექი ზაფხულის ერთ ცხელ დღეს და უცებ გულდამძიმებულს აღმომხდა:

გაახშირეთ იოტა ქართულ ლიტერატურაში!
არ დაივიწყოთ ქართულ ჟურნალისტიკაში!
ქართულ ცხოვრებაში!
ყველაფერში!
იოტა ხომ პაწაწუნაა, მაგრამ ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა!
წარსულის პატივისცემაა!
აწმყოს სწორად დანახვის ნიჭია!
მომავლის გარანტიაა!
სიყვარულია!

აღმომხდა და ჩემმა ნაცნობ-უცნობ მეგობარმა ლამაზმა ჟურნალისტებმა, ვიგრძენი, გამიგეს. მეც გულს მომეშვა, გავხალისდი და შევძახე:

დაე, მუდამ იყოს ⃞ოტა!

# პრინცმა ქართველი მეცნიერი დააჯილდოვა

გურამ ნიბახაშვილი

1 სექტემბერს პარიზში ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა საზეიმო ცერემონიალი, რომელზეც მონაკოს პრინცმა ალბერტმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე, პალეოანთროპოლოგი დავით ლორთქიფანიძე მონაკოს მონარქის პრიზით დააჯილდოვა. მონარქის ჯილდო 2 წელიწადში ერთხელ ეძლევა იმ ახალგაზრდა მეცნიერს, რომელიც განსაკუთრებულად გამოიჩენს თავს პრეისტორიულ მეცნიერებაში. ქართველმა მეცნიერმა ჯილდო 2000-2001 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისთვის დაიმსახურა.

პარიზში ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტი დაარსებულია მონაკოს მონარქის ალბერტ პირველის მიერ 1923 წელს და დღეს ადამიანის წარმოშობის ინტერდისციპლინარული კვლევის ევროპის უდიდეს ცენტრს წარმოადგენს.

ცერემონიალზე, რომელსაც ესწრებოდნენ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, პარიზში აკრედიტებული დიპლომატები და ჟურნალისტები, ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა საფრანგეთის აკადემიის წევრმა ანრი დე ლუმლეიმ აღნიშნა: "საქართველოში მიმდინარე პალეოანთროპოლოგიურ კვლევებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მსოფლიო მეცნიერებისთვის. დავით ლორთქიფანიძე ღირსეულად აგრძელებს აკადემიკოს ლეო გაბუნიას დაწყებულ ტრადიციებს და იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული მეცნიერების ევროპულ პროცესებში ინტეგრაციისთვის".

მონაკოს პრინცმა დიდი ინტერესი გამოიჩინა დმანისის აღმოჩენების მიმართ და აღნიშნა, რომ ბედნიერი იქნება ესტუმროს პირველი ევროპელების სამშობლოს - საქართველოს.


პრინცმა საჩუქრად მიიღო დმანისში აღმოჩენილი ყბის ასლი

## TV პროგრამა
2 სექტემბერი

### რუსთავი - 2
**07.00** დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.00** სერიალი „ჯაშუში“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** პერეკროსტოკი **18.50** თომა ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო-უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** სერიალი „განდგომილი“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ.ფილმი „უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი“. მთ. რ-ში: ლინო ვენტურა, მარლენ ჟობერი.

### პირველი არხი
**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი „მეექვსე ელემენტი“ **11.45** დოკ.სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი „სამოთხე“ **16.45** დოკ. სერიალი „მითიური რაინდები“ **17.15** მულტსერიალი „კიტუ“ **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.15** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიაშოუ **21.45** „სათავეებთან“ **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „სამხედრო ხელობა“.

### პირველი სტერეო
**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „შიშველი პისტოლეტი 2-შიშის სუნი“ მთ.რ-ში ლესლი ნილსენი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** „ბრავო“ „ისტორია ჩვენზე“ მთ. რ-ში ბრიუს უილისი, მიშელ პფაიფერი. **01.40** „ღამურა“ „შეთქმულების საიდუმლო“ მთ. რ-ში მელ გიბსონი, ჯულია რობერტსი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი
**19.00, 22.00** „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი „ვა:იშვილის ფიცი“ **21.00** ენერგია **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი „აღორძინების ეპოქის ადამიანი“.

### კავკასია
**12.00** მხ. ფილმი „სკარლეტი“ 1-ლი ნ. **15.00** მხ. ფილმი „ტყუპები“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „მარტოხელა გმირი“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „სკარლეტი“ მე-2 ნ.

### იბერია
**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.35, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **13.10** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „800 ლიე ამაზონზე“ **17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **18.00** დოკ. ფილმი **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „წარმატების ფასი“ **00.55** მუსიკა.

### მეცხრე არხი
**08.00** პროგრამა „დილა“ **10.00** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **10.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ 1-ლი ს. **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **11.50, 15.15, 16.20, 18.50, 19.50, 22.05** მუსიკა **12.00** მხ. ფილმი „გლადიატორი“ **14.00** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები“ **15.30** მხ. სერიალი „ღამის ექიმები“ **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ 1-ლი ს. **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **20.00** „ევროპის სტადიონებზე“ **21.10** სერიალი „ღამის ექიმები“ **22.25** „ტელემეტრი“ **22.50** მოკლ. მხ. ფილმი „შხამიანი წამალი“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.20** მხ. ფილმი „ბედნიერიერება კრედიტით“.

### იმედი
**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.25** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **11.05** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები“ **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „ამაზონია“ **15.15** მხ. ფილმი „ვაკუუმი“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** ლარის მახე **20.45** „დროებითი ზღვარი“ **23.55** მძაფრსიუჟეტიანი კინო „ტყვე ქალი“ **01.10** ქრონიკა.

### აჭარა
**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **09.20** დოკუმენტური ფილმი **10.10** სათავგ. ფილმი „ინდიანა ჯონსი დაკარგული კიდობნის ძიებაში“ **12.20** კომედია „მიმინო“ **13.50, 01.50** მუსიკა **14.00, 18.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს მსოფლიოში“ **14.05** თრილერი „ინსტინქტი“ **16.20** მულტფილმი **17.35** საბავშვო კომედია „პატარა სტიუარტი“ **18.05** ფილმის გაგრძელება **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** „Пресс-папье“ **19.35** დოკუმენტური ფილმი **20.25** კომედია „ბრილიანტის ხელი“ **21.55** „გალერეა“ **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** თრილერი „ბრიგადა“ 2 ს. **02.00, 03.40** დოკუმენტური ფილმი **04.15** მელოდრამა „სიმპატიკო“.

### VII არხი
**09.10** მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** „ბედნიერი ერი“ **09.40** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.10** მელოდია **10.20** კომპიუტერული თამაშები **10.25** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.55** მობილურები **11.40** „ავტოტრეკინგი“ - განმეორებით. **12.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **13.30** დისნეი და მისი მეგობრები **13.55** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.05** „ღამის კაპრიზი“ **22.05** მობილურები **22.50** „კინოკლუბი“ - „მტერი“.დეტექტივი. რეჟ: პოლ მარკუსი. როლებში: ბრიჯიტ ფონდა, კიფერ საზერლენდი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ნათლიდედა“ - მე-6 სერია **01.20** აუდიო-ვიდეო-ტელე.

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 10.20 Худ.фильм „Две судьбы“ 11.25 Боевик „Петр Великий“ 12.35** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом“ **13.15** Шоу „Город женщин“ **14.05 Худ.фильм „Гори, гори, моя звезда“ 16.10** Док.фильм „Обреченный „Боинг“ **16.55 Сериал „Берег мечты“ 18.00** „Большая стирка“ **19.25** „И это все о ней“ **20.55** Сериал „Убойная сила“. „Золотая обойма“ **22.00, 00.30** „Время“ **22.30 Сериал „Две судьбы“ 23.40** „Кремль-9“. „Царская охота“ **01.00** „На футболе“ **01.30** „Искатели“. „Московский клад Наполеона“ **02.00 Худ.фильм „Воскрешая мертвецов“.**

### РТР
**09.45, 21.55 Сериал „Каменская 2“ 10.50** „Не скуЧАЙ!“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00**“Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание“ **13.50, 23.00 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“ 14.45, 17.25, 01.15** „Вести“. Дежурная часть **15.30** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.30 Сериал „Лучший город Земли“ 18.10 Сериал „Бригада“ 19.10 Мелодрама „Ундина“ 20.00 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **00.00** „Вести+“ **00.20** „Раскрыть и доказать“ **01.30 Боевик „Охотники“ 03.30** „Дорожный патруль“ **03.45 Сериал „Ангелы Чарли“ 04.40 Худ.фильм „Лоуренс Аравийский“, 1 с.**

### НТВ
**07.00** „Утро на НТВ“ **09.50 Детектив „Дронго“ 11.00** „Сегодня утром“ **11.25 Худ.фильм „Мерседес“ уходит от погони“ 13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10** „Сегодня“ **13.30** „Красная стрела“ **13.50** Ток-шоу „Страна советов“ **14.35 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 15.45** По праву **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Полтергейст - миф или реальность?“ **18.30 Сериал „Супершпионки“ 19.25** „Территория выживания“ **20.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 21.45 Детектив „Дронго“, 6 с. 23.00** „Страна и мир“ **23.30** „Красная стрела“ **23.50 Сериал „Клан Сопрано“ 01.35** „Гордон“ **02.40** „Кома: это правда“ **03.10 Сериал „За гранью возможного“**

# კიანუ რივზი

სალომე კიკალეიშვილი

ძველი "ვოლვო" წყნარად მისრიალებდა ტრასაზე. არა, ტრასა არ უხდება - დიდების, პოპულარობისკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც ჰოლივუდი ჰქვია. საჭესთან, მჯდომ სიმპათიურ ბიჭს, ჯიბეში 3 ათასი დოლარი და რეჟისორ პოლ აარონის მისამართი ჰქონდა. ნეტა რა ელოდება? მალევე მოუწევს ამ გზის უკან გამოვლა, როგორც ათასობით ადამიანს, თუ...? ეს 1986 წელი იყო. მას შემდეგ კი...

დღეს ის არ ჰგავს ჰოლივუდის სხვა ვარსკვლავებს. იშვიათად დადის ელიტარულ მიღებებზე, და გაგაკვირვებთ თუ გეტყვით, რომ არც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნია. ან სასტუმროს სტუმარია, ან დასთან – კიმთან ათენებს ღამეებს. მისი პირადი ცხოვრება ნაკლებადაა ცნობილი, რადგან არ უყვარს ამაზე საუბარი. "რა საჭიროა სულში ჩაუძვრე ადამიანს, სინამდვილეში ხომ შენ, როგორც პიროვნება, არავის აინტერესებ " – ამბობს მსახიობი. მაშ ვინ არის ეს შავგვრემანი ლამაზმანი?

**კიანუ რივზი**, ჰოლივუდის ერთ-ერთი ვარსკვლავი, რომლის ცხოვრება დაახლოებით ისევე დაიწყო, როგორც ფილმებშია ხოლმე. იყო და არა იყო რა, იყო ერთი სიმპათიური ყმაწვილი, ნახევრად ჩინელი და ნახევრად ჰავაელი, საგამომცემლო კომპანიის კლერკი - სამუელ ნოულინ რივზი. ერთხელაც, ბეირუთის ერთ-ერთ ფეშენებელურ კაზინოში, იგი მომხიბვლელ, მოცეკვავე ქალს ხვდება, რომელმაც სემი პირველი შეხვედრისთანავე მონუსხა. ეს ინგლისელი პატრიკ (პატრისია) ტეილორი იყო. 1 წელიწადში იქორწინეს და **1964 წლის 2 სექტემბერს**, ბეირუთში, ვაჟი - კიანუ ჩარლზ რივზი შეეძინათ (კიანუ ჰავაურად "მთის წვერზე გრილ ნიავს" ნიშნავს). მალე კი ქვეყანას კიმი მოევლინა. ჰოლივუდურ ფილმში ამ ბედნიერი წყვილის ისტორია happy end-ით დამთავრდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვანაირად წარიმართა და როგორც ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე, მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. ბოლოს როცა კიანუმ მამამისი ნახა, ის მხოლოდ 13 წლის იყო. სამუელი, ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით, ციხეში ჩასვეს. კიანუ კი ასე აღწერს ამ პერიოდს: "მე, ჩვეულებრივი თეთრი ბიჭი ვიყავი, საშუალო ფენის ბურჟუაზიული ოჯახიდან. უმამოდ გაზრდილი, მაგრამ საკმაოდ ძლიერი დედით და მშვენიერი დით." 1969 წელს, პატრიკი კინორეჟისორ პოლ აარონს მიჰყვება ცოლად და ოჯახი ტორონტოში გადადის საცხოვრებლად. თუმცა, არც ამ ქორწინებამ გასტანა დიდხანს და წყვილი მალევე დაშორდა ერთმანეთს. პატრიკი კიდევ ბევრჯერ გათხოვდება. სტრიპტიზ-ბარებში მოცეკვავე ქალი, საკმაოდ თავქარიანი იყო. არა ერთხელ უთქვამს: "მე, არ ვარ კარგი დედა. ჩემს შვილებს კი არ ვზრდი, არამედ მეჩვენება, რომ ისინი თავისით, დამოუკიდებლად იზრდებიან. მე, უბრალოდ, გვერდზე ვდგავარ და ვუყურებ".

დრო გადიოდა, ბავშვები იზრდებოდნენ. 17 წლის კიანუ კი თავს ანებებს სწავლას და მუშაობას იწყებს. ხან სად, და ხან სად. გზა პოპულარობამდე არ ყოფილა მარტივი, ყველაფერი ნელ-ნელა, ეტაპობრივად ხდებოდა. ისე ვერც ბევრი დაიკვეხნის, ჰოპ და პირდაპირ კამერის წინ ავღმოჩნდი, თანაც მთავარ როლშიო. არც კიანუ იყო გამონაკლისი. სატელევიზიო დადგმებში, პატარ-პატარა როლებს, პირველი დებიუტი მოჰყვა კანადურ ფილმში "ოცნების რწმენა". ამას დაემატა რამდენიმე პატარა პროექტი და შემდეგ...

შემდეგ იყო ჰოლივუდი. "კიანუ ჩარლზ რივზი, არა, არა ეს რაღაც ძალიან გრძელია. აი, კიანუ კი ვარგა. ეგზოტიკურად ჟღერს" - ხმამაღლა საუბრობდა კიანუს მენეჯერი - "დარჩეს უბრალოდ კეანუ რივზი და მორჩა". ასეც დარჩა. ეგზოტიკური სახელის მფლობელმა, მალე დაიმსახურა რეჟისორთა ინტერესი. ეს მისი გადამეტებული ნიჭის ბრალი არ ყოფილა - იგი საინტერესო გარეგნობის, სიმპათიური ყმაწვილი იყო. ჰოლივუდისთვის კი, მოგეხსენებათ, ეს საკმარისია. პატარ-პატარა როლებს, სერიოზულები მოჰყვა და მალე ყველა დაინტერესდა, თუ ვინ იყო ეს სიმპათიური შავგვრემანი.

ნამდვილი წარმატება კიანუს 1994 წელს ელოდა ფილმში "სიჩქარე". არც ჰონორარმა დააყოვნა და სულ ცოტა ხნის წინ უცნობი მსახიობი, უკვე 7 მილიონს ითხოვდა. ამ ფილმის წარმატების შემდეგ, ყველა მოუთმენლად ელოდა, საყვარელ გმირს ფილმის გაგრძელებაშიც, მაგრამ კიანუ იქ აღარ გამოჩენილა. მან სხვა, გაცილებით საინტერესო, პროექტს მოაწერა ხელი, სადაც მას პარტნიორობას, მსახიობი ალ პაჩინო უწევდა. "ეშმაკის ადვოკატი" - ასე ერქვა ფილმს, რომელმაც ჩაძირა "სიჩქარე 2" და ახალგაზრდა მსახიობს, მილიონები მოუტანა. რადგან ჩვენ კიანუს, ასე ვთქვათ, ყველაზე წარმატებულ ფილმებს შევეხეთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ "მატრიცა", რომელიც მსახიობის ხელში ნამდვილ კოზირს წარმოადგენდა. ფილმის წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ შემქმნელებმა მეორე ნაწილზე დაიწყეს მუშაობა. "მატრიცა 2" კინოს ისტორიაში, ათწლეულების ყველაზე შემოსავლიან ფილმად დასახელდა, რომლის შემოსავალი 730 მილიონს წარმოადგენდა. ფილმმა უკან ჩამოიტოვა "ფორესტ გამპი" (679 მილიონი), თუმცა "ტიტანიკის" რეკორდი (1,8 მილიარდი) მაინც ვერ მოხსნა. "მატრიცას" ფანები კი ფილმის მესამე ნაწილს 2003 წლის 5 ნოემბერს იხილავენ.

დღეს კიანუ ჰოლივუდის ყველაზე შემოსავლიან მსახიობ მამაკაცთა სიაში პირველ ადგილს იკავებს. ჰონორარი კი 20 მილიონამდე გაეზარდა. მსახიობი ამჟამად კომპანია Warner Brothers-ის ახალ ფილმზე, "კონსტანტინეზე" მუშაობს, რომლის სიუჟეტი Hellblazer-ის კომიქსებიდანაა აღებული. კიანუ არც აქ ღალატობს თავის ჩვეულ სტილს და ბოროტ ძალთა წინააღმდეგ მებრძოლ გმირად გვევლინება.


კიანუ რივზი დღეს 39 წლის გახდა
REUTERS





რუსთავი 2 ჯონგი 24 საათი

ამერიკული კომპანია PEPSI-COLA-ს
ოფიციალური ბოთლერი
საქართველოში შპს "იბერია
რეფრეშმენტი" იწვევს 25 წლამდე
ასაკის მამაკაცებს სავაჭრო
წარმომადგენლის თანამდებობაზე
სამუშაოდ.
მოთხოვნები
- განათლება - უმაღლესი.
- სასურველია მანქანის მართვის ცოდნა.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება
ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ
გამოაგზავნოთ ავტობიოგრაფია (CV) 15
სექტემბრამდე ფაქსზე 43 35 15

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში.
დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.